

ახალი თაობა



**„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა
ზღაპრები ზოგი 3
ბრაზილიური ზღაპრები
6 ლარი**



პარასკევი, 27 სექტემბერი, 2013

№229 (6230)

ფასი: 30 თეთრი

გაგუკა არეშიძე: „ივანიშვილთან საკმაოდ სერიოზული კალაბი მუშაობდნენ ჩემ წინააღმდეგ“



**ნაციონალური
მოძრაობა
ყველაზე ძლიერ
ოპოზიციურ
პარტიად
დასახელდა**



**ივანიშვილი კვლავ ყველაზე
პოპულარულ პოლიტიკურ ლიდერად რჩება**

**გიორგი
თარგამაძე:
„პრემიერი
ექსპერტებს
საქმეს არ
უნდა
ურჩევდეს“**



**ნინო
ბურჯანაძე:
„პირდაპირ
შეიძლება
გითხრათ,
რომ ეს
სამარცხვინო
კვლევაა“**



**გიორგი
მარგველაშვილი:
„შიდა
მოკვლევის
შედეგად,
ჩვენ
რეიტინგს
სოტა
უფრო მეტს
ხედავთ“**



**მიხეილ
სააკაშვილი:
„კუთინი
პოლიტიკიდან
მალე
ნავა“**



**ზურაბ
მეგრელია:
„ჩვენ
აფხაზეთისთვის
ბოლომდე
ვიბრძოლეთ“**



**კამლბ
ჭიკაშვილი:
„ივანიშვილი
აფხაზეთსა
და
სამაჩხალოს
პირ
დაგვიბრუნებს“**



3

**რასმუსენი: „რუსეთს
მოუწოდებთ,
შეასრულოს
საერთაშორისო
ვალდებულებები“**

6

**უკანონო
ნადირობის
ფაქტები
გამოვლინდა**

5

**ირაკლი
ღარიბაშვილი
ლიბერალ
კოლეგას
შეხვდა**

6

**ლაგოდეხი
მომხდარი
გვალაღობა
გახსნილია**



გაგუკა არაუიკა: „ივანიშვილთან საკმაოდ სერიოზული კალაბი მუშაობდნენ ჩემ ნინაოზაბ“



ნინა ცაბაძე

ინტერვიუ ანსაარტთან კავკასიის საკითხებში გაგუკა არაუიკასთან

— ბატონო მამუკა, მოდით, პრემიერის და ექსპერტების გუშინდელი შეხვედრით დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ. საზოგადოების ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია, ნაწილი გაგებით შეხვდა პრემიერის განცხადებებს, თქვენი, როგორც ექსპერტის და ამ შეხვედრის მონაწილის შეფასებები?

— ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო ეს ფორმატი. ჩვენ გაფრთხილებულები არ ვიყავით, რომ სატელევიზიო ჩართვა იქნებოდა. რომ მივდიოდით, სრულიად შემთხვევით გზაში გავიგე. გარდა ამისა, ჩემს მოსაწვევს ეწერა, რომ ეკონომიკური ექსპერტების შეკრებაზე ვარ დაპატიჟებული. რამდენიმეჯერ ვცადე, საზოგადოების ურთიერთობის სამსახურთან გამეცნო, რა შუაში ვარ მე, მაგრამ დაიყინეს, გინდა თუ არა უნდა მობრძანდეთ და მივედი. აქედან გამომდინარე, თავიდანვე შეიქმნა გარკვეული გაურკვევლობა და მერე გაგრძელდა ეს გაურკვევლობა. მართალი გითხრათ, ჩემთვის მოულოდნელი იყო ეს ფორმატი, როდესაც კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით გვესაუბრებოდა პრემიერი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის მისი სამსახურის მიერ მომზადებული ტექსტი და ეს არ იყო მთლიანობაში განხილული.

— იმის თქმა გინდათ, რომ არ იყო საქმის კურსში?

— ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო. ქაოსზე როცა გველაპარაკებოდა, ამ შემთხვევაში როგორც იყო ნათქვამი, ისე იყო, მაგრამ სხვა შემთხვევაში ნამდვილად კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი ტექსტები, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რატომ მიდის ივანიშვილი.

— რატომ გააღიზიანა თქვენმა გამოსვლამ პრემიერი?

— იცით რაშია საქმე, უნდა გითხრათ, რომ ჩემი იქ მისვლის პირველივე დღიდან, 2011 წლის დეკემბერში, იმ დროიდან მოყოლებული საკმაოდ სერიოზული ძაღვები მუშაობდნენ ჩემ წინააღმდეგ. მიზეზები ვიცი და გვარების დასახელებაც შემიძლია, მაგრამ არ მინდა, რომ ეს გვარები დავასახელო, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ჩემთვის. ამან განაპირობა ხშირი შემთხვევაში ჩემსა და პრემიერის შორის გარკვეული კამათები და გაუგებრობა კი. თუმცა უნდა ითქვას, რომ პრემიერს აქვს საკმაოდ ანტიტერესო ხასიათი, მას შეტევაც შეუძლია და როცა საჭიროა თავის შეკავება და უკან დახევაც. აი, სწორედ ამ რეჟიმში ვმუშაობდით მთელი წლის განმავლობაში. ვერ ვიტყვი, რომ ეს დალაგებული ურთიერთობა იყო, მაგრამ საქმე კეთილდღეობა, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც მისივე ინიციატივით შედგა. ეს იყო ეროვნებათა სახლი, რომლის ხელმძღვანელიც მე ვიყავი. ამ ფორ-

მატში საკმაოდ ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით. შემდეგ რაც შეეხება ჩემი კანდიდატურის წამოყენებას გარ-

ბით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მე დავმარცხებულიყავი და ასეც მოხდა.



დაბნის მაჟორიტარად, მე ვიცი, როგორც მოხდა ეს შერჩევა და ვიცი, რომ ეს მართლაც პრემიერის გადაწყვეტილება არ იყო. ეს იყო იმ ძაღვების გადაწყვეტილება, რომლებსაც ჩემი თავიდან მოშორება უნდოდა.

— იმის თქმა გინდათ, რომ გარდაბნის რაიონში თქვენი დასახელება მაჟორიტარად თქვენს თავიდან მოშორებას ნიშნავდა?

— რასაკვირველია. გარდაბანი ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი რეგიონი იყო, სპეციფიკური რეგიონი იყო, მაგრამ მე დავთანხმდი, იმიტომ, რომ პარტიის გადაწყვეტილებად ჩავთვალე და მივიჩნიე, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ მართლა ვიცოდი, რომ კადრი არ ყავდათ ამ რაიონში. იმას ვერ ვიტყვი, რომ პარტიამ ან მისმა ხელმძღვანელობამ ხელი შემიშალა, თუმცა იქ იყო ერთი ადამიანი, რომელიც ნამდვილად ცდილობდა ხელშეშლას, მაგრამ მე არ მქონდა იმ დროისთვის შესაბამისი საბუთები, ეს მერე და მერე გამოიჩინა. მიუხედავად იმისა, რომ წაგებული მაჟორიტარებში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მე მქონდა — 44%, ეს არ იქნა შეფასებული შესაბამისად, თან ეგეთ რთულ რეგიონში. ეროვნული უმცირესობით დასახლებული არც ერთი რეგიონი არ მოუგია ქართული ერებისა, თუ რუსთავს არ ჩავთვლით და ასეთი მაღალი მაჩვენებელი არც ერთ წაგებულ მაჟორიტარობის კანდიდატს არ აუღია, მაგრამ ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში რომ წამეგო და ეს გაკეთდა იმ ერთი ადამიანის მიერ, ვინც იყო ქართულ ოცნებაში და რასაკვირველია, ნაციონალური მოძრაობა ლილუაშვილის მეთაურო-

ბით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მე დავმარცხებულიყავი და ასეც მოხდა. — რაც შეეხება ამ კონკრეტულ შეხვედრას, რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ? — წინააღმდეგობრივი იყო ნამდვილად, თუმცა უნდა გითხრათ, რომ ეს არის ივანიშვილის სტილი, რომელიც ბევრისთვის მიუღებელია, ბევრისთვის მისაცდილობს, რომ გულახდილი იყოს, რამდენად ალიკვამს ამ გულახდილობას საზოგადოება, ეს მეორე საკითხია. საქართველოს საზოგადოება ამ ტიპის ურთიერთობას მიჩვეული არ არის პოლიტიკოსებისაგან და ამიტომაც ინვესხან გაკვირვებას და ხან გაღიზიანებას. მე მაგალითად, რომ გითხრათ პირადად, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ერთგვაროვანი შეხვედრა და გარკვეულწილად ჩემში გაღიზიანება გამოიწვია გარკვეულ ეტაპზე ამ ფორმატმა, უნდა ითქვას, რომ პოზიტივიც დავინახე. დღეს ბევრი მწერს ფეისბუქზე, რომ აი, შეურაცხყოფა მოგაყენა და როგორ გადაიტანე და ასე შემდეგ. მე არ ვთვლი, რომ შეურაცხყოფა მომაყენა. მე ვთვლი, რომ თუ ზიანი მიადგა რაიმეს, საერთო საქმეს მიადგა და საერთო საქმე რომ ვერ არის ისე, როგორც პრემიერი თვლის, ეს ფაქტია. შეიძლება მას აქვს გამოსავლის გზები მონახული ისეთი, რომელიც ჩვენ არ ვიცით და ამ გამოსავლის გზებზე ის მყარად დგას და ბოლომდე ახორციელებს თავის გეგმას. სხვათა შორის, გუშინ ამან გაიფლერა, რომ მას აქვს გეგმა, რომელიც არის თანმიმდევრული და ამ გეგმას აუცილებლად მიიყვანს ბოლომდე. ამან გაიფლერა და ის მუხტი, რომ დარწმუნებულია თავის სიმართლეში, ეს წამოვიდა. ზოგიერთ შემთხვევაში ის ინფორმაციის დეფიციტშია.

— რაც შეეხება თქვენ ორს შორის ურთიერთობას, ფიქრობთ, რომ არასწორი ინფორმაციის და ენების მიტან-მოტანის გამო, რომელიც ასე ხშირია მის გარემოცვაში, სწორედ ეს არის მისი გაღიზიანების მიზეზი?

— რასაკვირველია და სწორედ ამიტომ მოგიყვებით ამხელა ისტორია, რომ თავიდანვე ასე იყო. გასული წლის იყო მაისის გარდაიცვალა მამაჩემი და გასვენებაში მოსულ ივანიშვილს მე ვთხოვე, რომ თუ რაიმე გაუგებრობა იქნებოდა ჩვენ შორის, ვიცოდით, რომ ეს იქნებოდა, ჩვენ შორის მომხდარიყო ამ ამბის განხილვა. ის მაშინ დაამირდა, რომ ასე იქნებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მე მესმის, რომ ადამიანს უამრავი საქმე აქვს და შეიძლება რაღაცა გამორჩეს, მაგრამ მე

ვთვლი, რომ შეიძლება ამის გაკეთება. ასეა თუ ისეა, ყოველ შემთხვევაში, ეს გაგრძელდა და აქამდე მივიდა. მარტო ჩემ მიმართ არ მომხდარა ეს, ბევრი სხვის მიმართ მოხდა და ბევრ წესიერ ადამიანს არა აქვს იმისი სურვილი, რომ თავისი სიმართლის მტკიცება დაიწყო და არც ის შეუძლია, სხვაზე აუცილებლად, ბევრი ასეთი ადამიანი ბარიერს მიღმა აღმოჩნდა. ეს არის თავად მისი გადასაწყვეტი, თუ ვინ იქნება მის გვერდით, ბუნებრივია, ვერავინ ვერ აიძულებს, რომ გინდა თუ არა, მე უნდა ვიყო. ბევრ ადამიანს შეეხო ეს და ხშირ შემთხვევაში გაიმარჯვეს იმ ადამიანებმა, ვისაც შეუძლია იდეების ხმარება და ვისაც შეუძლია ენების აქეთ-იქით ტრიალი. ის, რასაც ჩვენ ივანიშვილი გვეუბნებოდა ამ შეხვედრაზე, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ მისი მხარდამჭერები, ჩვენ უნდა ვიყოთ მთავრობის მიდევნების გამხმარებლები, შეიძლება ითქვას, ასე, ვინ ოხერი, კი ბატონო, ჩვენ მაგას ისედაც ვაკეთებდით ყოველი მითითების გაკეთება, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს უფლება, სიმართლე არ ვუთხრათ საზოგადოებას.

— თვალს ვერ დახუჭავთ?

— რასაკვირველია. მე რასაც ვლაპარაკობ, იმ სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ. ყველა იმ საკითხზე, რომელზეც მე გუშინ ვილაპარაკე, თუ არ შეეხებოდა ფსიქოლოგიურ თემას, ივანიშვილის გადაწყვეტილებისა, პოლიტიკიდან რატომ მიდის, სხვა შემთხვევაში, გორის თემა იქნება, პოლიტიკური სიბიროზის თემა იქნება, ნილების გადაწვანების თემა იქნება, მე ყველა ამ საკითხზე პასუხს ვაგებ, რასაკვირველია. მე ძალიან კარგად ვიცი, როგორც ხდება და მოვიყვანე კიდევ რამდენიმე ფაქტი. რასაკვირველია, მე გავითვალისწინე ის, რომ პირდაპირი ეთერი იყო და აქედან გამომდინარე შევეცადე ლაკონური ვყოფილიყავი. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის გარკვეული აგრესიით შეხვდა ჩემ მიერ მოყვანილ ფაქტებს, თემა არ გამომიშვა და მე ჩავთვალე, რომ მან აზრი გაიგო. თორემ სხვა შემთხვევაში მე მინახავს კიდევაც, რომ ბოლომდე ჩაყოლია, რომ არა, გინდა თუ არა, ეს ასე არ არის. ახლა ამ შემთხვევაში თემა დახურა.

განსაკუთრებით გორის შემთხვევაში, ნარკოტიკების შემთხვევაში და კონსერვატიული პარტიის არსებული ნაციონალების დაჯგუფების თაობაზე. ახლა ნაციონალებში კი არ არის საქმე, მინდა ამას ხაზი გავუსვა, საქმე იმ ხალხშია, რომლებიც ნამდვილად ვერ მოუტანენ ამპარტისა ვერანაირ დივიდენდს და პირობით, ეს მის ავტორიტეტზე სერიოზულად უარყოფითად იმუშავებს. მე ხაზს ვუსვამ, ეს ადამიანები არიან ისინი, ვინც მართლა წლების განმავლობაში გაყვლიდა გარდაბნის რაიონი, გაყვდა ყველაფერი და უარესად უარყოფითი დამოკიდებულება მათ მიმართ მთელ გარდაბნის რაიონში. გარდაბნელი თვლიან, რომ მათი ღირსების შეურაცხყოფაა დღეს, რომ ეს ადამიანები დღეს ისევ ამ რაიონის ბატონ-

ბატონებად გრძნობენ თავს, როგორც გრძნობდნენ მთელი 9 წლის განმავლობაში. მე უსუსტად ამაზე ვარ ორიენტირებული, რომ ამ ხალხს ღირსება დაუბრუნოს არა მამუკა არეშიძემ, არამედ ქართულმა ოცნებამ, ამაზე ვიყავი ორიენტირებული ამდენი წლის განმავლობაში. როგორც ჩანს, ეს კოპაბიტაციის თემა უფრო აქტუალური ყოფილა, რას ვიზამთ. მე ჩემსას მაინც გავაგრძელებ, გავაგრძელებ იმიტომ, რომ მე ამ ხალხს დავვირდი და არ შეიძლება სხვანაირად.

— გაკეთდა შეფასებები, რომ ივანიშვილს მყარი არგუმენტები ჰქონდა, როდესაც საქმე ეკონომიკურ მხარეს ეხებოდა, მაგრამ მოიყოლებოდა იმ საკითხში, რასაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია... თქვენ როგორ დაინახეთ ეს ყველაფერი?

— სხვათა შორის, სამართლიანობის აღდგენაც ეკონომიკაზეა დაფუძნებული. აქაც შეძლო მან აეხსნა, სამართლიანობის აღდგენა რატომ შეიძლება განხორციელდეს. მე სხვანაირი შთაბეჭდილება დამრჩა, მართალია გითხრათ და შემდეგ დადასტურდა ეს ჩემი ეჭვი, როდესაც გავაანალიზე სიტუაცია. მე ვიცი მისი მდგომარეობა, ის ძალიან ერიდება იმას, რომ მის მიერ შედგენილი გეგმა მოქმედებისა, არ იქნეს კორექტირებული, იმიტომ, რომ ის ანგარიშს უწევს დასახელების აზრს და ანგარიშს უწევს ძალიან მნიშვნელოვან პრინციპს, რომელიც მისთვის თავი და თავი იყო. ეს არის ბიზნესის შენარჩუნება. რაც უნდა პარადოქსულად არ უნდა ყლერდეს, ის თვლის, რომ წართეული ქონება დღეს მუშაობს. ანუ ბიზნესი მუშაობს და მისი ასე უხეში ჩარევით, რომ ერთი ხელის დარტყმით ამას წაგართვი, იმას დაუფრთხვია, მე ვამბობ, რომ შეფასებები მოვახდინეთ. მე ვამბობ, რომ ვისაც წართეული აქვს და ამუშავებს იმ ბიზნესს, უნდა იცოდეს, რომ ადრე თუ გვიან ამ ბიზნესის დაბრუნება მოუწევს, ოღონდ ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ჩაიბარა — მუშა მდგომარეობაში. მე ვამბობ, რომ იმ ბიზნესმენებს, ვისაც ქონება აქვს წართეული, შეუქმნათ ისეთი პირობები, რომ ახალი ბიზნესი წამოიწყოს. მე ვამბობ, რომ მცირე მასშტაბის ქონებრივი დავები ახლავე გადაწყვიტოთ, მაგალითად, პიროვნებას, რომელსაც მანქანა ჩამოართვეს, ის მანქანა დაუბრუნონ, ეს რა პრობლემაა?! ვიცი, რომ შრომატევადია, ასეთი 9 ათასი საქმეა, მაგრამ პრეცედენტები უნდა შეიქმნას. ამას ყველა გაიგებს, მთავარია, რომ დაიწყოს. ვინც ვერ გაიგებს, იმას აგუხსნით, რასაკვირველია, მაგრამ ადამიანი მშვირ-მწყურველი რომ ზის დანგრეული სახლის წინ, იმას როგორ გინდა აუხსნა, რომ მოიცადოს. რთულია ეს ამბავი.

პროსტიტუციისთვის აღიკვეთის გადაწყვეტილება 7 ადამიანი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ქუთაისში, სასტუმრო „ვიქტორია“-ს მესაკუთრე არჩილ ტ. და ადმინისტრატორი მარინა ლ. სასტუმრო „კოსმოსი“-ს ადმინისტ-

რატორ-მესაკუთრე ნანა ა., სასტუმრო „ლუქსი“-ს ადმინისტრატორ-მესაკუთრე ნუნუ ს. და სასტუმრო „ბაკური“-ს ადმინისტრატორი ნორა ს. დააკავეს.

სამართალდამცველების მიერ დაკავებულია ასევე ქუთაისში, აბაშიძის ქუჩაზე მდებარე საუნის ადმინისტრატორი და მესაკუთრე — როზა ტ. და ოთარ კ. გამოძიება დაადგინა, რომ ბრალდებულები გარკვეუ-

ლი პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ადგილს უთმობდნენ. სამართალდამცველებმა სასტუმროში მომუშავე ქალბატონები მონის სტატუსით უკვე დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ფაქტზე სსკ-ის 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნოესტრესი

ნინო ბურჯანაძე პუბლიკაციის ელჩს შეხვდა

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, გუშინ საქართველოში ბულგარეთის ელჩს შეხვდა. პარტიის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ბულგარეთის ელჩი საქართველოში წელიწადი რაც საერთოელოში იმყოფება და ბევრ საკითხთან დაკავში-

რებით ძალიან ღრმად ინფორმირებული არ არის.

პრესსამსახურის ცნობით, საუბრის ძირითადი თემა ის მიმდევრობა იყო, რაც დღეს ახალგაზრდის ტერიტორიაზე შექმნილია.

ნინო ბურჯანაძის თქმით, მან შესთავაზა ელჩს, რომ იმ ხალხმრავალ შეხვედრებს დაესწრო, რომელსაც საპრეზიდენტო კანდიდატი ნინაბურჯანაძე კამპანიის ფარგლებში საქართველოს მოსახლეობასთან ატა-

რებს, რათა საკუთარი თვალით ნახოს, თუ რამდენი მხარდამჭერი ჰყავს მას.

ბურჯანაძემ გუშინ საქართველოში უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთანაც გამართა.

შეხვედრას, რის შემდეგაც ის 16:00 საათზე „ქორთო“ არდასამთავრობო და უფლებადაცვითი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეხვდა.

ნოესტრესი

ახალი თარგმანი

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაქრაძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიშვილი, დავით ყიფიანი
საგინანო სამსახური — ჯორა ბალაყაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გაზეთების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკავალდება — ინგა დვალისვილი, ნინა კანდელაკი, შილა ქიქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციამ შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიები გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საგვარდო უფლებები დაცულია.



ნაციონალური მოძრაობა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად დასახელდა

ივანიშვილი კვლავ ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ ლიდერად რჩება



ნათია ხურცილავა

ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (ენდია) გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მედიას სექტემბერში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გააცნო.

კვლევა ეხებოდა საზოგადოების განწყობას პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილ იქნა პოლიტიკური რეიტინგები, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატების, ასევე პოლიტიკური პარტიებისა და სუბიექტების.

ენდიას კვლევის საველე სამუშაოები 18 აგვისტოდან 3 სექტემბრის პერიოდში ჩატარდა. კვლევები საქართველოს მასშტაბით 3,838 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე მოხდა.

ენდიას კვლევები დააფინანსა შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (სიდა) და ჩაატარა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა.

კვლევა ჩატარებულია რამდენიმე ტალად, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, სხვადასხვა რეგიონებში, ქალაქსა თუ სოფელში.

კვლევის შედეგები პრესას ლუის ნავარომ გააცნო.

გამოკითხულთა უმეტესობა, 39%, საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილს ისურვებდა.

ენდიას კვლევის თანახმად, რეიტინგში მეორე ადგილზე 18%-ით „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი დავით ბაქრაძე, მესამე ადგილზე 7%-ით – „დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, შემდეგ „ლეიბორისტული პარტიის“ საპრეზიდენტო კანდიდატი შალვა ნათელაშვილი 3%, ასევე 3% აქვს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი თარგამაძეს.

კვლევიდან ჩანს, რომ გამოკითხულთა 16%-მა არ იცის, ვის ისურვებდა საქართველოს მომავალ პრეზიდენტად.

საპრეზიდენტო არჩევნებში გამოკითხულთა 73% მიიღებს მონაწილეობას.

ენდიას კვლევის თანახმად, გამოკითხულ რესპონდენტთა 27% არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს.

ენდიას საქართველოს ოფისის ხელმძღვანელ ლუის ნავაროს განცხადებით, არჩევნების შედეგები იმის მიხედვით გადაწყდება, რა არჩევანს გააკეთებს ის მოსახლეობა, რომელიც ჯერ არც ერთ კანდიდატს არ უჭერს მხარს.

– ვუახლოვდებით რა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს, გიორგი მარგველაშვილი ორი ერთთან შეფარდებით წინ უსწრებს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს.



ლური მოძრაობის“ კანდიდატს. ამასთან, დავით ბაქრაძე ისევ ორი ერთთან შეფარდებით ყველა სხვა ოპოზიციურ კანდიდატს უსწრებს, თუმცა არჩევნების საბოლოო შედეგები და მეორე ტურის ალბათობა გადაწყდება იმის მიხედვით, თუ რა არჩევანს გააკეთებს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ამ ეტაპზე არც ერთ კანდიდატს არ უჭერს მხარს, – განაცხადა ნავარომ.

გამოკითხულთა უმეტესობა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დანიშვნას მოსალოდნელად მიიჩნევს.

კვლევის თანახმად, 27 პროცენტი მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მოსალოდნელია. 4 პროცენტის აზრით – ძალიან მოსალოდნელია, 23 პროცენტი მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი არ არის, ხოლო 8 პროცენტის აზრით, მოსალოდნელია ხერხოდ არ არის. 19 პროცენტს ამ საკითხზე ნეიტრალური პოზიცია აქვს. ასევე 19 პროცენტი აცხადებს, რომ არ იცის.

ენდიას წინა კვლევასთან შედარებით, მარგველაშვილის მონაწილეობის მაჩვენებელი 11%-ით გაიზარდა.

ენდიას კვლევის თანახმად, რომელიც 15 ივლისს გამოქვეყნდა, კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის მონაწილეობის მაჩვენებელი 45% იყო, გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით კი – 56%-ია.

ისევე, როგორც ენდიას წინა კვლევის თანახმად, ამჯერადაც მონაწილეობის მაჩვენებლის მიხედვით პირველ ადგილზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მონაწილეობის მაჩვენებელს, იგი წინა კვლევასთან შედარებით არ შეცვლილა და კვლავ 69%-ია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კვლავ ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ ლიდერად რჩება საქართველოში.

კვლევის თანახმად, მისი მონაწილეობის მაჩვენებელი 69 პროცენტს შეადგენს. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის მონაწილეობის მაჩვენებელი 60, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის – 56, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასი – 52, საპარლამენტო უმრავლესობის თინათინა ხიდაშელის მონაწილეობის მაჩვენებელი კი 49 პროცენტს შეადგენს.

ასევე წინა კვლევის მსგავსად, მონაწილეობის მაჩვენებლის მიხედვით მე-3 ადგილს ინარჩუნებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. 15 ივლისს გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, უსუფაშვილის მონაწილეობის მაჩვენებელი 61%-ს შეადგენდა, გუშინ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით კი 60%-ია.

გამოკითხულთა უმეტესობა დადებითად მიიხედვით კაბინეტიდან ირაკლი ალასანიას საქმიანობას აფასებს.

ამასთან, რესპონდენტთა 11% თავდაპირველ მინისტრის საქმიანობას ძალიან კარგად, 38% – კარგად, 37% – საშუალოდ, 4% კი ცუდად აფასებს.

რეიტინგში მეორე ადგილს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იკავებს, რაც შეეხება პროცენტულ მაჩვენებელს, ღარიბაშვილის საქმიანობას 9% ძალიან კარგად, 34% – კარგად, 39% – საშუალოდ, 5% კი ცუდად აფასებს.

მესამე ადგილზე იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომლის საქმიანობას ძალიან კარგად რესპონდენტთა 10%, კარგად – 33%, საშუალოდ – 36%, ცუდად კი 6% აფასებს.

მეოთხე ადგილზე საგარეო საქმეთა მინისტრი მიაი ფანჯიკიძე, მეხუთე – ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე, მეექვსე – ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, მეშვიდე – სასაზღვრო ურთიერთობების მინისტრი სოზარ სუბარო, მერვე – ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურე, მესამე – რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმა-

ნია, მეათე – განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, მეორეთმეტე ადგილს კი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი იკავებს.

ყველაზე დაბალი სარეიტინგო მაჩვენებელი რეიტინგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს, ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ დავით დარაშვილიძესა და გარემოს დაცვის მინისტრ ხათუნა გოგალაძეს აქვთ.

გამოკითხულთა 42% ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად „ნაციონალური მოძრაობას“ მიიჩნევს.

ენდიას კვლევის თანახმად, ამ კატეგორიის რეიტინგში მეორე ადგილზეა „დემოკრატიული მოძრაობა“ 8 %-ით.

ალასანიშნავია, რომ რესპონდენტთა 5%-ს ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად კვლავ „ქართული ოცნება“ მიაჩნია, „ლეიბორისტულ პარტიას“ 5%-იანი მაჩვენებელი აქვს. გამოკითხულთა 24% კი ფიქრობს, რომ საქართველოში არც ერთი ოპოზიციური პარტია არ არის ყველაზე ძლიერი.

ოპოზიციურ ლიდერებს შორის 49%-ით დავით ბაქრაძე ლიდერობს.

ენდიას კვლევის თანახმად, ამ კატეგორიის რეიტინგში მეორე ადგილზე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი თარგამაძე, რომელსაც 36% აქვს, მას მოჰყვება „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი – 34%, შემდეგ ადგილზეა „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძე – 33%-ით.

კვლევის თანახმად, ყველაზე მაღალი მონაწილეობის მაჩვენებელი პატრიარქს აქვს

გამოკითხვის თანახმად, ილია მეორე რესპონდენტთა 94%-ს მოსწონს, 1%-ს კი – არა.

მონაწილეობის მაჩვენებელთა რეიტინგში მეორე ადგილზე პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილია.

მეოთხე ადგილს კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი იკავებს, რომელიც გამოკითხულთა 56%-ს მოსწონს, 21%-ს კი არა.

ყველაზე დადებითად ქართული ჯარის საქმიანობა შეფასებულია.

ენდიას კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 12% ჯარის საქმიანობას ძალიან კარგად, 46% – კარგად, 29% – საშუალოდ, 2% – კი ცუდად აფასებს.

რეიტინგში მომდევნო პოზიციას ქართული პოლიცია იკავებს, მესამე

ადგილს კი – კოალიცია „ქართული ოცნება“. შემდეგი კი თანმიმდევრობით მოსდევს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარლამენტი, მთავარი პროკურატურა, სახალხო დამცველის აპარატი, ცესკო, საზოგადოებრივი მაუწყებელი, სასამართლოები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ადგილობრივი ხელისუფლება, პროფკავშირები და ბოლოს „ნაციონალური მოძრაობა“.

გამოკითხულთა 50% ფიქრობს, რომ მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს „ქართული ოცნება“ დგას.

ენდიას კვლევის თანახმად, კითხვაზე – რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? 12% „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ აფიქსირებს აზრს.

4% ფიქრობს, რომ მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს „დემოკრატიული მოძრაობა“ – ერთიანი საქართველოა, 3% მიიჩნევს, რომ „ლეიბორისტული პარტიაა“. „ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობას“ ამ კატეგორიაში 2% აქვს.

ალასანიშნავია, რომ რესპონდენტთა 16%-ის აზრით, მის შეხედულებებთან ახლოს არც ერთი პარტია არ დგას.

კითხვა ივანიშვილის გადადგომის შესახებაც დაისვა. ივანიშვილის გადადგომა გამოკითხულთა 62 პროცენტის აზრით, არჩევანზე გავლენას არ მოახდენს.

პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა, გამოკითხულთა 62 პროცენტის აზრით, საპრეზიდენტო არჩევნების დროს მათ არჩევანზე გავლენას არ მოახდენს.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 17 პროცენტი აცხადებს, რომ ნაკლებად მოსალოდნელია, ხმა მისცეს „ქართული ოცნების“ კანდიდატს, ხოლო 8 პროცენტის მოსაზრებით, უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ ხმას არ მისცეს „ქართული ოცნების“ კანდიდატს, 11 პროცენტის განცხადებით კი, ეს არ იცის.

პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილი რეიტინგი კი 3%-ით გაიზარდა და 23%-ის ნაცვლად, ამჟამად ის გამოკითხული მოსახლეობის 26%-ს მოსწონს. ასევე გაიზარდა მისი უკმაყოფილო მოსახლეობის რიცხვი და ის 53%-დან 57%-მდე ავიდა.

ბიძინა ივანიშვილის მიმართ მოსახლეობის კმაყოფილების დონე მიმდინარე წლის ივნისის შემდეგ არ შეცვლილა და, სექტემბრის მონაცემებით, ის კვლავ 69%-ს შეადგენს. თუმცა შეიცვალა პრემიერის უკმაყოფილო მოსახლეობის რაოდენობა და ის 12%-დან 15%-მდე გაიზარდა.

გაზრდილია ასევე მოსახლეობის იმ ნაწილის რაოდენობა, რომელსაც ნინო ბურჯანაძე მოსწონს. ეს მაჩვენებელი 33%-ს შეადგენს.

გიორგი თარგამაძე: „პრეზიდენტი პასუხისმგებელია არააქტიურობაზე, არააქტიურობაზე“

ქმ-ის საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი თარგამაძის თქმით, „ყოველდღიურად ჩვენი პრეზიდენტი პასუხისმგებელია არააქტიურობაზე, არააქტიურობაზე, არააქტიურობაზე, არააქტიურობაზე“.

„უღირსად საინტერესო სანახაობა ვნახეთ გუშინ და ყველასთვის მნიშვნელოვანი და მტკივნეულ კითხვაზე მივიღეთ პასუხი, რომ რუსეთის ტერიტორია ოლიმპიადისთვის სჭირდება და გაგებით უნდა მოვეკიდოთ. ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ღრმა კოპატიტაციაშია შესული არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობასთან“, არამედ რუსეთის ხელისუფლებასთან“, – განაცხადა თარგამაძემ.

გიორგი მარგველაშვილი ახმადის მოსახლეობას შეხვდა

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გუშინ ამომრჩევლებს ახმეტაში შეხვდა. შეხვედრას ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ესწრებოდნენ.

გიორგი მარგველაშვილმა ამომრჩევლებს სიტყვით მიმართა და 27 ოქტომბრის არჩევნებზე მოსვლისკენ მოუწოდა. კანდიდატმა წინასაარჩევნო პროგრამა წარადგინა და მოსახლეობას „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებული პროექტები გააცნო.



პირველი



ნათია ხურცილავა

გაეროს რიგით 68-ე გენერალურ ასამბლეაზე ქართული დელეგაცია შეხვედრებს მართავს. პრეზიდენტის პარალელურად, შეხვედრები აქვს საგარეო საქმეთა მინისტრს მიაი ფანჯიკიძეს, სადაც ორმხრივ საკითხებთან ერთად სოფელ დიცა და დევანში განვითარებული მოვლენები განიხილება.

რუსეთის მიერ საოკუპაციო ზოლის მავთულხლართებით გამაგრების პოლიტიკა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია საგარეო უწყების ხელმძღვანელისთვის, რომელსაც ის უცხოელ კოლეგებთან შეხვედრაზე აყენებს. მაია ფანჯიკიძემ გარკვეული შეხვედრების ჩატარების შემდეგ აღნიშნა, ვილნიუსის სამიტის წინ ჩვენ ყველა შემთხვევით ვსარგებლობთ.

გუშინ ფანჯიკიძემ გაეროს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიის პარალელურად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრ-ებთან შეხვედრაზე აყენებს.

პირველი

რასმუსენი: „რუსეთი მოვუწოდებთ, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები“



ნათია ხურცილავა

ების პოლიტიკურ დირექტორებთან არაფორმალური შეხვედრები გამართა და მისი დასრულების შემდეგ პრესასთან განაცხადებები გააკეთა.

– ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, რადგან ვილნიუსის სამიტის წინ ჩვენ ვსარგებლობთ ყველა შემთხვევით, რომ ჩვენს კოლეგებთან განვიხილოთ აქტუალური თემები. ვისაუბრეთ ვილნიუსის სამიტის მოსამზადებელ პერიოდზე და ჩვენს მოლოდინებზე. როგორც იცით, სამიტიდან რამდენიმე თვეში ჩვენ ველით ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, – განაცხადა მაია ფანჯიკიძე.

მისივე თქმით, ქართულმა მხარემ შეხვედრის მონაწილეებს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის უკანონო ქმედებებზე და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ჰუმანიტარულ ვითარებაზე მიანიშნა ინფორმაცია.

შეხვედრაზე ასევე საქართველოში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავ-

შირებული საკითხები განიხილეს.

არაფორმალურ შეხვედრას ევროპის 28 ქვეყნის საგარეო პოლიტიკური უწყების წარმომადგენელი ესწრებოდა. რუსეთის ფედერაციის მიერ საოკუპაციო ზოლის გავლება საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა გააპროტესტა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ისინი მოითხოვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემას.

– როგორც იცით, ჩვენ საკმაოდ მკაფიო პოზიცია გვაქვს საქართველოსთან დაკავშირებით. მოვითხოვთ მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა. ვაგრძელებთ არალიარების



პოლიტიკას სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებით და რუსეთს მოვუწოდებთ, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები. ეს ნაბიჯები სწორედ საერთაშორისო ვალდებულებებთანაა წინააღმდეგობაში, – განაცხადა რასმუსენმა.



თენგიზ დიხაშიძე: „რატომ არ იძიებენ პაზაგაშვილის, რობაქიძის, გამსახლიძის მკვლელობებს!“



გულიკო ბაღაძე

ინგაჩოი უპაღლასი საბჭოს დაუბაბო თენგიზ დიხაშიძისთან

— ბატონო თენგიზ, ერთი წელია, ქვეყანა კოპაბიტაციურ რეჟიმში ცხოვრობს. პრემიერი აცხადებს, რომ პოლიტიკიდან მიდის. მთავარი საკვანძო საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყვეტილიყო მას, თუ არის გადაწყვეტილი? ვთქვათ, ახალი სახელისუფლებო სექტორის შექმნა, ადგილობრივი არჩევნების ჩატარება, ახალი კონსტიტუციის მიღება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობა. ივანიშვილს მიაჩნია, რომ საზოგადოებისთვის მისაღები პოლიტიკური სექტორი არის დღეს. რა ხდება დღეს?

— ბიძინა ივანიშვილი ისტორიაში შევა, როგორც ეროვნული სახალხო ლიდერი, რომელმაც სააკაშვილი პოლიტიკური მიზნისკენიდან გაიყვანა, პოლიტიკიდან სამუდამოდ ჩამოაშორა, ქვეყანას სამოქალაქო ომი ააცილა, საქართველო სრული განადგურებისაგან იხსნა, საქართველოს სუვერენიტეტი მნიშვნელოვანწილად შეინარჩუნა, თუმცა — დიდი დანაკარგებით.



სიას, რომელიც შეიქმნა, საქმეების გადასახედად ორი წლის ვადა მიეცა. ბიძინა ივანიშვილი კი უახლოეს პერიოდში აპირებს წასვლას. ასეთ ვითარებაში მთავარი მაინც რა არის?

— მთავარი ისაა, აუცილებლად რეფორმები იყო ჩასატარებელი. რეფორმები მტკიცეული პროცესია.

— კონკრეტულად რა რეფორმები უნდა ჩატარებინათ?

— უნდა ჩატარებულიყო ფუნდამენტური და მტკიცეული რეფორმები სასამართლოში, პროკურატურაში, ეკონომიკაში, კანონმდებლობაში. ყველაფერი ეს კომპლექსური ფორმით უნდა წარმართულიყო.

— თქვენ ის რეფორმები, რომელიც ჩატარდა ახალი ხელისუფლების მიერ, საკმარისად არ მიგაჩნიათ?

— დიდწილად ძალიან ფრაგმენტული და უსახური რეფორმები ჩატარდა. ამ ხელისუფლების მონაპოვარზე თუ მიდგება საქმე, ესაა პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება, როდესაც შეფასდა წინა რეჟიმის პირობებში პოლიტიკტიმერების არსებობა და რეპრესიები. ასეთი პატიმრების რიცხვი 190-ს აჭარბებდა. ამ მონაპოვარს სჭირდებოდა გაგრძელება და არა მხოლოდ დაფიქსირება.

პარლამენტის უშუალო დანიშნულებაა კანონშემოქმედება და კონტროლი პოლიტიკურ, სოციალურ და ყველაზე პრიორიტეტულ სფეროებში. ყველაფერს გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა. დანაშაულები ციდან ხომ არ ჩამოფრენილა, ის კონკრეტულმა ადამიანებმა, პროკურატურამ, სასამართლომ ჩაიდინეს. კონკრეტული ადამიანები, ვინც ამ იდეის შემოქმედნი იყვნენ, ხელშეუხებლები არიან. უფრო მეტიც, მათ როტაციის წესით მონათესავე სტრუქტურებში გადაინაცვლეს, ხელშეუხებლობით სარგებლობენ და აგრძელებენ თავიანთ დანაშაულებრივ მოქმედებას. ამის უშუალო მაგალითია ის, რომ გამოუკვლეველია არა მარტო 150 ბიჭის ქუჩაში ჩაცხრილვა (ყველაზე დიდ ღირებულებას ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს. ყველა ადამიანის სიცოცხლე ღირებულია). დღის წესრიგში დგას ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გამცემლიძისა და სხვათა გახმაურებული მკვლელობების გამოძიების საკითხი. არც ერთი საქმის გამოძიება ადგილიდან დაძრულიც არ არის.

— ამ საქმეების გამოძიება დაძრულიც არ არის თუ დასრულებულია?

— ამ საქმეების გამოძიება ადგილიდან დაძრულიც არ არის. მიმდინარეობს უაზრო კომბინაციები. ბევრ საქმეს ახლოს ვიცნობ და სრული პასუხისმგებლობით ვლაპარაკობ (უშუალოდ მშობლებთან მაქვს ურთიერთობა და დაინტერესებული ვარ ადამიანის უფლების დაცვით). ვიცი ის, რომ ისინი ხელშეუხებლები არიან და საქმე არანაირად წინ არ მიდის. პირველი პირების მიერ ჩადენილ და ბრძანების გამცემი პირების პასუხისმგებლობის საკითხის დასმა ვერაფრით ვერ მოხერხდა.

— ეს საკითხები, ალბათ, უფრო პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოების გადასანჯვეტია და შეიძლება დროთა განმავლობაში გადაწყდეს კიდევ, თუნდაც ბიძინა ივანიშვილი არ იყოს ხელისუფლებაში. მან თქვა, რომ მისი ყოფნა ხელისუფლებაში საჭირო არ არის. მისი გუნდი ამ საკითხებს მოაგვარებს.

— ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში ყოფნა აუცილებელი არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, თუ ბატონი ბიძინა კონტროლზე აიყვანდა ამ ქვეყანაში ჩადენილ, განსაკუთრებით მძიმე, სპეციალური დანაშაულებების გამოძიების საკითხს. მიუღი რიგი ქვეყნებია, სადაც პირველი პირები გამოდიან და ამბობენ, რომ საქმე ამაყით აბსოლუტურ კონტროლზე და ვალდებულს ვხედავ, ვინც ამ საქმეს იძიებს, ანგარიში ჩამაბაროს, როგორც მე, ისე ფართო საზოგადოებას.

— ამის უფლება აქვს პრემიერს? ეს გამოძიების პროცესში ჩაერევა არ აღიქმება?

— მას უფლება აქვს, ინფორმაცია ბოლომდე მიიღოს. კი არ უნდა ჩაერიოს, კი არ უნდა უკარნახოს, კი არ უნდა წარმართოს ვექტორები, თავისი ნება კი არ უნდა მოახვიოს, უნდა დააკვირდეს და სრულყოფილ ინფორმაციას ფლობდეს.

— შეფასება?

— სანამ პროცესი არ დამთავრდება, მანამ შეფასების უფლება არ აქვს. კონტროლზე აყვანა კი ნიშნავს იმას, რომ შენ სრულფასოვან თვალყურს ადევნებ ამ მოვლენას. თუ ვალდებულია აიღე, ბოლომდე უნდა მისდიო, თუ არადა, კონტროლის უფლება, ამ სიტყვის კარგი გაგებით, აქვს, მაგრამ მოქმედებს მხოლოდ დაკვირვებისა და ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით. მეტი სხვა უფლება ბიძინა ივანიშვილსა და, საერთოდ, პირველ პირს არ უნდა ჰქონდეს. თუ არღვევ და სააკაშვილადიშვილივით ერევი, ეს სხვა ამბავია, საუბედროდ, ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილი არ არის. მიმივ დანაშაულებების გამოძიების კონტროლზე აყვანა კი აუცილებელია, რადგან ამ მიმართულებით ძალიან დიდი პრობლემებია. არა მხოლოდ მკვლელობების საქმეებია, არამედ არიან ასევე დამცირებული, გაუბედურებული, ნანაშენი ადამიანები. მე-

ტი რაღა გინდა, ტელევიზორში („ოპიექტივი“) გამოდის ადამიანი და ამბობს, მე ვარ გაუპატიურებული და ხელს ადებს კონკრეტულ პერსონებს. ამაზე რეაქცია რომ არ აქვს არც პარლამენტს, არც სასამართლოს და არც არავის, ეს არის შემამფოთლებელი და გამაოგნებელი. ამის პატიება არ შეიძლება. ამიტომ ისეთი ორგანოები, რომლებიც ტოტალურ შეურაცხყოფას აყენებენ საქართველოს მოსახლეობას, ადამიანის უფლებას ფეხქვეშ თელავენ, პასუხისმგებლები არიან. ერთი შემთხვევა რომ იყოს, თუ მას სათანადო რეაქცია არ მოჰყვა, იმ ორგანო, იმ ინსტიტუტი უნდა დაითხოვო. ამის შეგუება არ შეიძლება. ნურავის ჰგონია, რომ კოპაბიტაციის იდეას ამოფარებული ხალხს მოატყუებენ და კოპაბიტაცია გაცივდება სხვა რაღაცაში. სხვა რაღაცაში ეს ვერ გაიცვლება, საქართველოს მოსახლეობა ამას არ აპატიებს. ეს უნდა იცოდეს. კეთილი, უზრუნველყოფილი, თბილი ცხოვრება არ იძლევა დანაშაულზე თვალის დახუჭვის უფლებას. არ შეიძლება, ამას კოპაბიტაცია უწოდო და გარედან თავს მოხვეულო იდეად გაასალო.

— ბევრისგან მომისმენია, რომ მათ ხმა არ მუცლიათ, ვთქვათ, კონკრეტულად, რესპუბლიკური პარტიისთვის, რომელთა მარშმადგენლები უმაღლეს თანამდებობებზე მოგვევლინნენ, ან კიდევ სხვა პარტიებისთვის, რომლებიც დღეს კოალიციაში არიან. მათ ხმა მისცეს, კონკრეტულად, ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს. როდესაც ბიძინა ივანიშვილი გავა თამაშიდან, მაშინ რა ხდება? კონფიგურაცია და ვითარება ხომ იცვლება?

— რა თქმა უნდა. ეს კიდევ საგარეო ფაქტორებზე ძირფესვიანად იქნება დამოკიდებული. რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს? ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, 3 წელიწადში მივიღივარო. ორი წელი ჯერ არ გასულა. თუ ათვლის წერტილად მისი პოლიტიკაში შემოსვლის თარიღს ავიღებთ, მაშინ მესამე წელია, მაგრამ საქართველოს მოსახლეობა მისი ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან ითვლის. ალბათ, ათვლის წერტილიც აქედან უნდა ყოფილიყო.

— ბიძინა ივანიშვილს ნორმალური მუშაობის საშუალება თუ მიეცა? მან განაცხადა, რომ ურთულეს ვითარებაში უნდება მუშაობა, იგივე საგარეო საკითხებთან დაკავშირებით ბენვის ხიდზე დადიოდა და „მჩიქვარე დემოკრატიის“ გამო, ამერიკამ და ევროპამ საქართველოსთან ლამის ურთიერთობები განკეცილა.

— ბუნებრივია, პრობლემები იქნებოდა. ბიძინა ივანიშვილი იდგა ორი პრობლემის წინაშე. ერთი, ძლიერნი ამა ქვეყნისანი ანუ დასავლეთის მთელი ინდუსტრიული, სამხედრო, პოლიტიკური მანქანა ყველაზე მაღალ დიდილობა, თავისი პოლიტიკა გაეტივებინა კავკასიაში კონკრეტულად კი საქართველოში, რომელიც არის მნიშვნელოვანესი დერეფანი და სტრატეგიული მაგისტრალი. ამიტომ ყველაწიარად ცდილობდა, კონტროლი დაემაყრებინა. ამის გამო დასავლეთმა ჯერ სააკაშვილზე გააკეთა აქცენტი, ხოლო შემდგომ მოინდომა მისი ჩანაცვლება დღევანდელი ხელისუფლებით. თუმცა, აქ ის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წააწყდა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს მოსახლეობამ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებისაგან სამართლიანობის აღდგენა მოითხოვა. დასავლელი პარტნიორები კი საპირისპიროს მოითხოვდნენ. მათი სტრატეგია იყო არსებული პოლიტიკური სამართლებრივი სისტემის შენარჩუნება, რაც სააკაშვილმა დამახინჯებულად გააკეთა, მაგრამ მაინც შეასრულა. საქართველოს მოსახლეობა სამართლიანობის აღდგენას დღესაც მოითხოვს. არავის ეგონოს, რომ საქართველოს მოსახლეობა თავის მოთხოვნას უკან წაიღებს. ამიტომ, ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილი ძალიან რთული დილემის წინაშე დგოდა. ვფიქრობ, მან ამ შეჯახებას გატელა ამჯობინა. დიდი შეცდომა იქნა დაშვებული, როდესაც ის პოლიტიკური აჯაფსანდლის შემოვიდა პოლიტიკაში. ბიძინა ივანიშვილი მოვიდა არა მხოლოდ მხედველობრივი გუნდით, არა სტრატეგიული იდეების გაზრების შესაბამისი გადამწყვეტილების მქონე გუნდით, რომელსაც ამის შესაბამისი პრაქტიკა, ფსიქოლოგია, უნარი და შესაძლებლობა გააჩნდა, არამედ ეს მოხდა პოლიტიკური აჯაფსანდლის პრინციპით. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეს საკითხები და პრობლემები პაერში დარჩა ჩამოკიდებული. ვერანაირად ვერ მოხდა საერთო წერტილების მოძებნა — ეროვნული თანხმობის საფუძველზე ამ საკითხების განხილვა და მოწესრიგება. ამიტომ არანაირი რეფორმები არ ჩატარებულა.

— ისე, ამ ხელისუფლებას მუშაობა ნაციონალებთან ყოველდღიურ ჭიდილში მოუწია. ეს იყო საკანონმდებლო თუ ადგილობრივი ხელისუფლების, გამგეობებისა და საკრებულოების დონეზე, სადაც ხელოვნურად გამოწვეული არეულობებია, რადგან საზოგადოება ნაციონალების ისევე ხელისუფლებაში ყოფნას ვერ ეგუება. შეიძლება თუ არა, უფრო ადრე ჩატარებულიყო თვითმმართველობის არჩევნები?

— მოუწესრიგებელია საარჩევნო კანონმდებლობა... — ზეიად გამსახურდიამ ხომ ძალიან მოკლე ხანში ჩაატარა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები?

— დიას, ეს ნება გახლდათ. მაშინ ხალხი დიდწილად ერთსულოვანი იყო. ამ შემთხვევაში კოპაბიტაციის ნაკრები ერთსულოვანი ვერ იქნება. თუ ხალხის უმრავლესობის ნებას, ვინც ხელისუფლებაში მოვიყვანა, არ ითვალისწინებ, ჩაკეტილი ხარ რაღაც ვინორი ინტერესების სფეროში და გინდა, დრო განვლო. დროის განვლით პრობლემების მოწესრიგება არ ხდება. ჩემი აზრით, ეს ბიძინა ივანიშვილს ესმის, მაგრამ მაინც იმეორებს, რომ ყველაფერი კარგადაა, მთავრობა კარგია, შესანიშნავად მუშაობს. თუმცა, მე აბსოლუტურად განსხვავებული აზრი მაქვს. სამწუხაროდ, ეს კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება.

— კრიზისი იქნება ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ თუ მისი პრემიერობის პერიოდში?

— საერთოდ, ამ დამოკიდებულებით და შემდგომაც. — საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კოპაბიტაცია არ დამთავრდება და დაძაბულობა არ მოიხსნება?

— გარკვეული დაძაბულობა, ალბათ, მოიხსნება და ილუზიები, რომელიც აქვთ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, ასევე ჩრდილოეთისა თუ სამხრეთში დასამარდება. მინდა, დავამშვიდო ისინი — არა მგონია, ბაქრაძე მეორე ადგილზე გავიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხედლო ქაოსს მიიღებენ. ეს ერი არ იმსახურებს იმას, რომ თავისუფალი წების გამოხატვის უფლება არ მისცე. ერი არ დაგითმობს. ერი გაიზარდა. მის თვითგამოხატულება და თვითიდენტიფიკაცია ისეთ სულიერ სიმაღლეზე აყვანილი, რომ ის არ შეეგუება ფალსიფიკაციას, გარედან მანიპულაციებსა თუ მართვას. ეს არის ჩვენი მონაპოვარი. საქართველოს მოსახლეობა ამ მონაპოვარს ბოლომდე რომ დაიცავს, ეს მე ოპტიმიზმია და პერსპექტივის განცდის საშუალებას მაძლევს. ის ხელისუფლება, რომელიც ამას არ ითვალისწინებს, ან დროს აცდენს, ან დროს ჭიმავეს, ხელოვნურად ცდილობს, გაიხანგრძლივოს თავისი არსებობა.

ირაკლი ღარიბაშვილი ლიზველ კოლეგას შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბალტიისპირეთის ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თავის ღიშველ კოლეგას — დაილის ალფონსას ბარაუასუს შეხვდა. შეხვედრაზე მათ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის

ინფორმაციით, მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის გეგმები და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხები განიხილეს.

გუშინვე, საქართველოს და ლიტვის შს მინისტრებმა ორდოკუმენტს — შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ და შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სფერო-

ში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“ — მოაწერეს ხელი.

ლიტველმა კოლეგამ ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციისა და შს მინისტრების შეხვედრაზე მიიწვია, რომელიც 7-8 ოქტომბერს ლუქსემბურგში გაიმართება. შეხვედრის ბოლოს საქართველოს და ლიტვის შს მინისტრებმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს, სადაც საუბრის მთავარი თემა ვილინუსის სამიტი, ორმხრივი თანამშრომლობა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია



ციის საკითხები იყო. ბრიფინგის შემდეგ ლიტვის ნაციონალიზმის ტელევიზორში ირაკლი ღარიბაშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა.

ნოესტრესი



სოფით წელს 2 ალაშიანი გარდაიცვალა




მერი ნამორაძე

გინდ დღიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ, ოფიციალური მონაცემებით, ცოფის პროფილაქტიკაზე საქართველო ევროპის რეგიონში ყველაზე მეტს ხარჯავს. ამ მსგავს ზონოზური ვირუსულ-ინფექციური დაავადებით ავადდებიან ძუძუმწოვარი ცხოველები და მისი ადამიანისთვის გადადება შესაძლებელია ისეთი ტიპის კონტაქტის დროს, როგორიცაა კბენა, დადორგვლა, დაკანკრა. თუმცა, საბუნებრივად, ცოფის თავიდან აცილება შესაძლებელია ვაქცინით.

მსოფლიოში ცოფით გარდაცვალებული 40 პროცენტით ბავშვი და 15 წლამდე ასაკის მოზარდია. დაავადების შემთხვევები ფიქსირდება მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში. ცოფით გარდაცვლილი ადამიანები გარდაცვალებამდე ან მათი ახლოშესაზრგის დაზარალებულები მიზეზად ყველაზე ხშირად ძალადობრივ კონტაქტს ასახელებენ, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება ძალადობის ვაქცინაციის პროგრამის ამუშავებას.

საქართველოში შარშან – სამი, წელს კი ორი ადამიანი გარდაიცვალა ცოფით. მათ შორის 44 წლის

მამაკაცი მიმდინარე თვეში, რომელსაც გარდაცვალებამდე 4 თვით ადრე ქვედა კიდურზე უკბინა ძალმამა.



ტრავმის თაობაზე მას სამედიცინო დაწესებულებისთვის არ მიუმართავს, შესაბამისად, ანტირაბიული პროფილაქტიკური ვაქცინაცია არ ჩასტარებია, რის შედეგადაც დაავადდა და გარდაიცვალა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა არაერთხელ გააფრთხილა საზოგადოება, რომ ცოფით დაავადებისაგან დასაცავად საუკეთესო პროფილაქტიკა და ეფექტური სტრატეგიაა შინაური ცხოველების, განსაკუთრებით ძაღლების ცოფის საინააღმდეგო ვაქცინაცია. სწორედ ცხოველების, განსაკუთრებით ძაღლების ვაქცინაციის წყალობით ბევრმა ქვეყანამ მოახერხა ადამიანებში ცოფის შემთხვევების საგრძნობლად შემცირება,

თუმცა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში შემთხვევების მატება მიანიშნებს, რომ ის კვლავ აქტუალურია და მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემებს უქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ცოფის პროფილაქტიკაზე დახარჯული თანხებით საქართველო ევროპის რეგიონში და ევროპის ქვეყნებთან შედარებით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა, ცოფით გარდაცვალების შემთხვევები ყოველწლიურად ფიქსირდება. ცოფის საინააღმდეგო ვაქცინაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ცოფით გარდაცვალების სრულიად აღმოფხვრა შეუძლებელი გახდება.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, ცოფის ინკუბაციური პერიოდი მერყეობს 2-3 კვირიდან წელიწადზე მეტ დროს განმავლობაში. ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ცოფის ლოკალიზაციასა და დაზიანების ხარისხზე. ამ პერიოდში ჩატარებული ვაქცინაცია ცოფით არდაავადების გარანტია. სიმპტომებს მიეკუთვნება პიურმგრძნობელობა იმ ადგილზე, რომელიც კბენის დროს დაზიანდა, შესაძლებელია ნიარუვის ქავილი, დაბუვება, წამოწევა

ლება, რასაც შემდგომში მოსდევს ე.წ. აგზნების ფაზა. მოგვიანებით უკვე ვითარდება ენცეფალიტისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები. პაციენტს უჭირს წყლის დალევა, სუნთქვა, აგზნების ფაზას ენაცვლება დამბლების ფაზა და საბოლოოდ დაავადება სიკვდილით მთავრდება.

ანტირაბიული პროფილაქტიკა უნდა დაიწყო ცხოველთან კონტაქტიდან რაც შეიძლება მალე. რაც უფრო მძიმეა ცხოველის მიერ მიყენებული ჭრილობა, მით უფრო სასწრაფოა დროული პროფილაქტიკის დაწყება. ყველაზე დიდ რისკს წარმოადგენს მძიმე ჭრილობები, რომელთა დამუშავებაც დაავადების შემთხვევაში ჩირილობა უნდა დამუშავდეს საპნისა და გამდინარე წყლით, ამის შემდეგ აუცილებელია ექიმთან ვიზიტი, რომელიც გადამწყვეტ ვაქცინაციის საკითხს.

დაკომპლექტდება და შევიწმუშავებთ პროექტს ძეგლის გადმოტანასთან დაკავშირებით“, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ და დასძინა, რომ ძეგლის გადატანა მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა.

მისივე განმარტებით, ძეგლის გადატანა ყოველთვის ხდება, როცა სახელმწიფოს სჭირდება, კონკრეტულ ადგილზე რაღაც სამუშაოები აწარმოოს.

შეხვედრაზე მყოფი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის სანდრო თვალჭრელიძის თქმით, შეიქმნება ახალი მუზეუმი, სადაც უძველესი მალეროსთან დაკავშირებული ყველა საინტერესო ელემენტი გადავა.

კულტურის სამინისტრომ საყდრის საბაღოს კომპლექსში მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ამა წლის ზაფხულში მოუხსნა.



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მოსახლეობას მოუწოდებს, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები გაითვალისწინონ და ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას საფრთხე არ შეუქმნან.

საყდრის კვლს ბოლნისში გადამტანენ



მერი ნამორაძე

საყდრის მალაროს გარშემო ტყეში ვნებათაღელვას რამდენად ჩააცხრობს გუმინდელი გადამწყვეტილება, უახლოეს მომავალში გამოჩნდება. მალაროს გარშემო სამეცნიერო წრეებისა და ოქროს მომპოვებელი კომპანია „ერ-ემ-ჯი-გოლდის“ დაპირისპირება კარგა ხანია გრძელდება. მეცნიერების რწმუნებით, მალაროს ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა იმდენად ღირებულია ქვეყნისათვის, რომ წარმოებისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნების მოტივით მისი განადგურება მიუტყვევებელი ცოდვა იქნება. საპირისპიროს ამტკიცებ

ცებს მწარმოებელი კომპანია და წარმოების შეჩერებისა და სამუშაო ადგილების გაუქმების საშიშროებაზე საუბრობს.

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საყდრის-ფაჩალიანის ოქროს მალაროს საკითხთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელსაც მთავრობის წევრები, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლები, არქეოლოგიური ექსპედიციისა და კომპანიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გადაწყდა, რომ აღნიშნულ ძეგლს 2-3 კილომეტრის დაშორებით, სავარაუდოდ, ბოლნისში გადამტანენ, სადაც ტურისტებისთვის ერთ-ერთი საინტერესო ადგილი იქნება. შეხვედრის დასრულების შემ-

დეგ კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ განაცხადა, შეხვედრაზე საყდრისის ძეგლთან დაკავშირებული საკითხის საბოლოოდ გადაჭრის მიზნით კომისია შეიქმნება.

„ჯერ კიდევ მიმდინარეობს პროცესი, რომელიც საყდრის-ფაჩალიანის საბაღოსთან არის დაკავშირებული. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ძეგლთან, მეორე მხრივ კი – საწარმოსთან, რომელიც არ უნდა გაჩერდეს. ამის გამო ჩვენ ვეძებთ ოქროს გამოსავალს და, ალბათ, ის ვიპოვებთ კიდევ. პრემიერ-მინისტრთან გამართულ დღევანდელ შეხვედრაზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას კომისია, რომელიც სხვადასხვა უწყებისა და დარგის სპეციალისტებით

უკანონო ნადირობის ფაქტები გამოვლინდა



მერი ნამორაძე

წლევიანდელ ნადირობის სეზონზე, რომელიც 17 აგვისტოს დაიწყო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უზღადა გამოავლინა უკანონოდ ნადირობის ფაქტები. სამინისტროს ინფორმაციით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ნადირობის სეზონის დაწყებიდან დღემდე სულ უკანონო ნადირობის 48 ფაქტია გამოვლენილი, რომელთაგან 46 ადმინისტრაციულ სამართალდრღვევას წარმოადგენს, ხოლო 2 სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

როგორც ჩანს, ჩვენს მონადირეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ხმოვანი სიგნალების გამოყენება ელექტროიმიტატორები, რომელთა გამოყენებამ როგორც გადამფრენ, ასევე ენდემური სახეობის ფრინველთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. ამიტომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ნადირობასთან დაკავშირებით კანონმდებლობას ამკაცრებს. კერძოდ, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისას იკრძალება ხმოვანი სიგნალების გამოყენება ელექტრონული მოწყობილობების, „მაიკოების“ გამოყენება. აკრძალვა ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე

ელექტრონულ მოწყობილობებსაც შეეხება. არსებული საკანონმდებლო რეგულირებისგან განსხვავებით, სამართალდამრღვევი ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებისათვის იმ შემთხვევაშიც დაჯარიმდება, თუ მას ცხოველთა სამყაროს უკანონოდ მოპოვებული ობიექტი არ აღმოაჩნდება.

ცვლილება შევა „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ“ დებულებაშიც, რომელიც ძალაში გამოქვეყნებისთანავე, მომდევნო კვირას შევა.

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ჯერ ძალიან შორს წავედით, ზოგჯერ კი არასაკმარისად შორს. მე სრულად ვიღებ პასუხისმგებლობას ყველა ნაკლოვანებაზე და გულთან ახლოს მიმაქვს ყველა იმ ადამიანის აზრი, რომელიც მიიჩნევს, რომ საკმარისად ვერ იხეირა ჩვენ მიერ გაწეული სამუშაოთი ან ვინც თავს ჩვენი რადიკალური მეთოდების მსხვერპლად თვლის.

მსურს მივმართო საქართველოს ყველა მოქალაქეს – ვინც მხარს უჭერდა ჩვენს პროექტს, პოლიტიკასა და პარტიას და მათაც, ვინც უარყოფდა მათ – თუ როდენ ამავი ვარ მათი მონიშვნა და სიმახვილი, რაოდენ მოკრძალებით ვუცქერ მათ მიერ გაღებულ მსხვერპლსა და ძალისხმევას. ჩვენ ვართ ერთი, რომელიც ამავიბს თავისი ჯარისკაცებით. ისინი წინ აღუდგნენ ასევე უფრო მრავალრიცხოვან რუს დამპყრობელს და მოგვცეს დრო მსოფლიოსთან ერთად მოგვეხდინა მობილიზება და დაგვეცვა ჩვენი დამოუკიდებლობა, რაც 21-ე საუკუნეში ჩვენზე დიდმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს. რეგიონული ერთიანობის, თავისუფლებისა და ევროპული ინტეგრაციის ჩვენი გზა ჯერ კიდევ შორს არის დასრულებისგან და მისი საბოლოო წარმატებისთვის მუხლანაზრებად ვაპირებ შემოხვას, – განაცხადა სააკაშვილმა.

თავის გამოსვლაში სააკაშვილმა პუტინს მომავალიც უწინასწარმეტყველა. მისი თქმით, რამდენიმე წელიწადში პუტინი არც კრემლში და არც რუსულ პოლიტიკაში აღარ იქნება.

– ევრაზიული კავშირი დაპირისპირების პოლიტიკას ეყრდნობა და მას სათავეში ძველი კაცებს სტრუქტურები უდგას, რომლებიც მიზნად ძველი იმპერიის გაცოცხლებას ისახავს. სწორედ ამიტომ ევრაზიული კავშირში შესვლა ძალიან ადვილია. არ არსებობს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური კრიტერიუმები. კოლონიად გახდომა სინამდვილეში საერთოდ არ საჭიროებს არანაირ ძალისხმევას. პასიურობა და არაფრით გამორჩე-

მისილ სააკაშვილი: „კუთინი პოლიტიკიდან მალე წავა“

ულობა ერთადერთი კრიტერიუმი, – განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, მეორე მხრივ, ევროპის კავშირში ანუ ნამდვილ გაერთიანებაში მოხვედრას ტიტანური ძალისხმევა სჭირდება, რათა ის ზუსტი კრიტერიუმები დაკმაყოფილდეს, რომლებზეც ევროპის კავშირი დგას.

– მათ, ვისაც ამათთან დაკავშირებით ეჭვები აქვთ, მსურს ვუთხრა: სწორედ იმიტომაც, რომ ევროპის კავშირში გაერთიანება მოითხოვს ძალისხმევას და სერიოზული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. სწორედ იმიტომ, რომ ევროპის კავშირი არ ცდილობს ჩვენს ჩაყლაპვას, მაშინ როცა მეორე კავშირი სწორედ ამაზე ოცნებობს – ჩვენი არჩევანი ცხადზე ცხადია. ამავე დროს, ამ არჩევანის სიცხადის გასამყარებლად უკეთესი არგუმენტიც არსებობს. კერძოდ ის, რომ რუსული პროექტი წარუმატებლობისთვისაა განწინებული. დღევანდელ დღეს ვერც ერთი იმპერია ვერ იარსებებს, მით უმეტეს, რუსული. თუ ჩვენ შევხედავთ ისტორიას, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა კოლონიები დაკარგეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ კოლონიები დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ პარიზსა და ლონდონში იმპერიის აღარ სჯეროდათ. ეს იმპერიები ეჭვქვეშ დადგა როგორც პერიფერიაში, ისე ცენტრებში. სწორედ ეს ხდება ამჟამად რუსეთში. იმპერიული ოცნების უარყოფა, როგორც ვნახეთ, ჯერ პერიფერიაზე ხდება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იმპერიის უარყოფენ ცენტრშიც. ამგვარი უარყოფა თავს ავლენს არა მხოლოდ სახალხო პროტესტში, ეს უარყოფა უპირველესად რუსული ელიტების მხრიდან პუტინის ამ პროექტის მიმართ ცინიკურ დამოკიდებულებაში ვლინდება. სწორედ იმ ხალხს არ სწამს ამ პროექტის, რომელიც მას უნდა ემსახუროს. ამგვარად, როგორც განაპირა ქვეყნებში, ისე ცენტრში უარყოფის შედეგად, იმპერიალისტუ-

რი გზა ჩიხში შედის, ევრაზიული კავშირი კი კრახს განიცდის. რუსეთი ჩამოყალიბდება ერ-სახელმწიფოდ, რომელსაც განაპირა მხარეების ნაცვლად ნამდვილი საზღვრები ექნება. სწორედ ამის შემდეგ დაიწყებს იგი მეზობლებთან სტაბილური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. სწორედ ამის შემდეგ ჩაანაცვლებს თანამშრომლობა დაპირისპირებას. ეს მოხდება უფრო სწრაფად, ვიდრე ბევრ ადამიანს ჰგონია. აქედან იხეირებენ განაპირა ქვეყნები, მაგრამ ყველაზე მეტად ამით რუსი ხალხი მოიგებს. ეს მოხდება იმიტომ, რომ რუსეთის მოქალაქეთა იმ თაობისთვის, რომელიც მსოფლიოში ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხმარებელია, იმპერიული პროექტი აბსურდია. ეს მოხდება იმიტომ, რომ ეთნიკური დისკრიმინაცია, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე არსებობს, ვერ მოახდენს კონსოლიდირებას და ვერ გახდის რუსეთს ერთიან სახელმწიფოდ. ეს მოხდება იმიტომ, რომ ნავთობისა და გაზის უსასრულო რესურსებით განპირობებულ შემოსავალს, საფრთხეს უქმნის ფიქტის გაზისა და ნავთობის განვითარება. ეს მოხდება იმიტომ, რომ გაზი ვერ ჩაანაცვლებს ეკონომიკურ მოდერნიზაციას. ეს მოხდება კორუფციისა და სამართლიანობის არარსებობის გამო. ეს მოხდება იმიტომ რომ მთელი რეგიონები გაუცხოვდა დისკრიმინაციის, ძალადობის გამო, რადგან ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი, სათათრეთი თუ სხვა ადგილები იმდენად შევიწროებულნი არიან, რომ თავს მოსკოვთან ერთიანი პროექტის წევრებად აღარ გრძნობენ და ეს მოხდება არა მომავალ ათწლეულებში, არამედ უახლოეს წლებში. რამდენიმე წელიწადში ვლადიმერ პუტინი აღარ იქნება არც კრემლში და არც რუსულ პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ კიდევ რამდენიმე წელიწადი აპირებს პოსტზე დარჩენას. რუსეთის მოქალაქეთათვის კი იგი, ძველი დროის აჩრდილად, იმპერიისა, კორუფციისა და ჩაგვრის აჩრდილად დარჩება, – განაცხადა სააკაშვილმა.

ლაგოდეხი მომხდარი მკვლელობა გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1994 წელს დაბადებული სვიატოსლავ ა., ხოლო 1989 წელს დაბადებული გიორგი ტ., დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ სვიატოსლავ ა.-მ მიმდინარე წლის 24 სექტემბერს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭიაურში, სიტყვიერი შეკამათების ნიადაგზე, თანასოფელს, 1993 წელს დაბადებულ ოლეგ გუცანს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა.

სვიატოსლავ ა.-მ და მისმა თანმხლებმა გიორგი ტ.-მ ცხედარი დანაშაულის დაფარვის მიზნით, მდინარე ალაზანში გადააგდეს.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან მეორე დღეს, ლაგოდეხის რაიონში დააკავეს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

ნოესრესია

პოლისია პრესაჟის ინფარქტის მიერ კახელი თუჩაჟთის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, თბილისის აეროპორტში, სასაზღვრო გამშვებ პუნქტში, საქართველოს მიმართულებით სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, ვისბადენის ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე, 1963 წელს დაბადებული, აზიზ ტერზიოლლუ დააკავეს.

აღნიშნული პიროვნება დაპატიმრების და შემდგომი ექსტრადიციის მიზნით გერმანიის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლის არჩევით საერთაშორისო ძებნაში 2013 წლის 28 მაისიდან იმყოფებოდა. დაკავებულს სავარაუდოდ 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ამჟამად ძებნილი გადაყვანილი და მოთავსებულია შსს №1 დროებითი მოთავსების იზოლატორში და მის მიმართ წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

მედიანუსი

პოლისია დიდი ოდენობით სხსელსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამგერლო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1976 წელს დაბადებული რომან რ., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა სენაკში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობის ჩხრევისას, ნაგებობის ქვეშ დამალული სამგზავრო ხელჩანთიდან დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა – „აკა-ემ“-ის მოდელის 2 და „აკა-ეს“-ის მოდელის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 11 მჭიდი და 193 საბრძოლო ვაზნა, უცხოური წარმოების 1 პისტოლეტი 1 მჭიდი და 3 საბრძოლო ვაზნი და ასევე, კომპინირებული სანადირო თოფი ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

მედიანუსი



რას ემსახურება თურქული სერიალების „შეშოტავა“



თამარ ნინიძე

რუსეთი ისევ ცდილობს საქართველოს შეთრევას მორიგ ავანტიურულ გაერთიანებაში სახელწოდებით ევრაზიული კავშირი. ორი დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციათა ევრაზიულმა ალიანსმა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან აქცია გამართა მთხოვნით, ადგეს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან. სიმბოლურია, რომ სოხუმის დაცემის დღეს „ახალმა თაობამ“ „ევრაზიული ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერ მაია ხინჩაგაშვილთან ინტერვიუ ჩაწერა. რა გეგმები აქვთ და როგორ აპირებენ საქართველოს მოსახლეობის გაცურებას, ამაზე მაია ხინჩაგაშვილი გვესაუბრება.

— რა არის თქვენი რეალური მიზნები და რა იდეოლოგიას ეყრდნობით?

— ორგანიზაცია „ევრაზიული არჩევანი — საქართველო“ შეიქმნა რამდენიმე თვის წინ. მე გახლავართ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე, შემდეგ კოალიცია შეიქმნა. ჩვენი მიზანია, საქართველოს მოსახლეობას მივანდოთ ინფორმაცია ევრაზიული სივრცის შესახებ. მწირია ინფორმაცია ამის შესახებ. სხვადასხვა ღონისძიების გამართვას ვაპირებთ, შეხვედრები და გასვლები გვექნება რაიონებში და ყურადღებას მივაქცევთ რუსული ენის პოპულარიზაციას.

— ვინ გიჭერთ მხარს?

— ჩვენი აქტიური მხარდამჭერია ბატონი ვალერი ხაბურზანი, უშიშროების ყოფილი მინისტრი და ასევე „ერეკლე მეორის საზოგადოება“. სურვილი გვაქვს, ინტენსიური კონტაქტები გვქონდეს რუსეთთან ჩამოსულ წარმომადგენლებთან, აქედანაც ჩავიდეთ ქართველები, მრგვალი მაგიდის შეხვედრები იქნება, რომელზეც ვისაუბრებთ საბაჟო კავშირზე, რა დადებითი მხარეები ექნება საქართველოსთვის განევრინებას ევრაზიულ კავშირში. მოხდება პროდუქციის გატანა, დადებითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, ასევე სავიზო რეჟიმი და დიპლომატიური ურთიერთობები აღდგება. ეს ყოველივე მიგვიყვანს იმ სარეზერვო ოცენებამდე, რასაც ჰქვია საქართველოს მთლიანობის აღდგენა. ეს არ მოხდება დღეს და ხვალ, იმ ნაბიჯების გადადგმა საჭირო, რაც აქამდე მიგვიყვანს.

— როგორ უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები? საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გამოხატა ნება, რომ რუსეთთან ურთიერთობა დარეგულირდეს, მაგრამ რუსეთიდან საბასუხო სურვილი არ არის, გარდა ამ მავთულხლართებისა. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება საქართველოსგან უფრო რადიკალურ ქმედებებს ითხოვს, მაგალითად, მეტ კომპრომისებს?

— მე როგორც ვიცი, კონკრეტულად რაღაც კომპრომისებს არ ითხოვს.

— მაშინ რატომ არის მცოცავი ანექსია საზღვართან?

— ბევრი გაზანთილი მოგვსვლია რუსეთის პრეზიდენტისგან, მაგრამ ამას ჩვენი მხრიდან მოჰყვა სანინალმდეგო რეაქცია.

— თქვენ სააკაშვილის პერიოდს გულისხმობთ თუ ახლანდელ დროს?

— ბოლო დროს რამდენიმე თვის მანძილზე.

— კონკრეტულად რას ითხოვდნენ?

— ჯიბრის ფონზე არ უნდა მოხდეს რაღაცა. ხომ შეიძლება, ცივილიზებული დიალოგი შედგეს? ეს, პირველ რიგში, სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისთვის.

— საინტერესოა რუსეთის უმაღლესი ხელი-სუფლებისგან რა შეთავაზებები და გზავნილები მოდის?

— ის მესიჯები, რომლებიც გაუღერებული იყო ტელევიზიით. ამაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ორატორიული რეაქცია.

— მაინც რა შინაარსის მესიჯები იყო?

— ახლა აღარ მახსოვს. როგორც ვიცი, ისეთი გზავნილები არ იყო, რაც საქართველოს ზიანს მოუტანდა.

— რუსეთის სურს დღეს და სსრკ-ს მსგავსი გაერთიანების შექმნა, რომელშიც ის ისევ იქნება დომინანტი?

— ჩვენ ექვს სექტემბერს ტელეხიდი გვქონდა რუსეთთან. მონაწილეობდნენ რუსეთიდან დეპუტატები და რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი. ეს სივრცე არ არის ევრაზიული კავშირი, იქ განევრინებული ქვეყნები მოქმედებენ დამოუკიდებლად, რუსეთს იქ დირიჟორის ფონი არ ექნება ხელში და რასაც ეტყვის, იმას არ შეასრულებენ წევრი ქვეყნები. მომგებიანი ის იქნება, რომ ეკონომიკური კუთხით სერიოზულ პროგრესს მივიღებთ.

— რატომ სურს ამ გაერთიანების შექმნა და რატომ სურს რუსეთს ამ სივრცეში საქართველოს შეყვანა?

— თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთს სურს ძლიერი საქართველო.

— ძლიერი საქართველო თუ უნდოდა, ტერიტორიები არ უნდა წაერთმია მისთვის.

— გაფრთხილებული იქნება აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვრები.

— ეს რას ნიშნავს?

— გამოყოფი ზოლი აღარ იარსებებს. სანყის ეტაპზე ჩვენ აფხაზეთთან და ოსეთთან გვექნება მიმოსვლა.

— მიინდა გკითხოთ, ოცი წელი მივიღტვით ნატოსკენ და ევროკავშირისკენ რა წინსვლა მივიღეთ?

— საქართველო გაზაფხულზე ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდება. ეკონომიკურად ეს იქნება ჩვენთვის მომგებიანი და პოლიტიკურადაც დაცული ვიქნებით.

— ასეთი დაპირებები გვესმის ოცი წელია.

— რამე წინსვლა გვაქვს ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით?

— საბჭოთა კავშირი იყო ყველაზე ჩამორჩენილი ეკონომიკური თვალსაზრისით. რუსეთი კი ადამიანის უფლებების მხრივ არ არის მონაწივე ქვეყანა. თურქეთის პოპულარიზაცია ხდება საქართველოში, ამდენი თურქული სერიალია და დღემო ოცჯერ გვესმის, დიდება ალპს.

— რუსული ფილმები და რუსული ენა რომ იყო მონაწივე ადგილზე, ეს არ განუხედავთ?

— რუსულ ენას დიდი ისტორია აქვს. ეს ხომ არ არის უბრალოდ რაღაც ამერიკა?

— ენის დიდ ისტორიაზე გერმანელებსაც შეუძლიათ მკონდეთ პრეტენზია და ბრიტანელებსაც, ასევე იტალიელებსა და ბერძნებს. რუსულ ენაზე

ნაკლები ისტორია არც ამ ერებს გააჩნიათ.

— დიას, ინგლისური ენაც უნდა ვისწავლოთ, მაგრამ არა ისე, ინგლისური პირველი კლასიდან და რუსული მეშვიდე კლასიდან.

— დაფუძნა, საქართველომ ისევ გააგრძელა სვლა ევროკავშირისკენ, რუსეთიდან რას უნდა ველოდოთ?

— კარგს არაფერს.

— სომხეთი აიძულეს, საბაჟო კავშირში შესულიყო, ზერნოლა მოლოდინაზე, უკრაინაზე, აზერბაიჯანზე. თუ ეს კავშირი კარგია, მაშინ ნებაყოფლობით უნდა განევრინდნენ ქვეყნები მასში.

— ცოტა ხანში ვნახავთ, უკრაინის ეკონომიკას რა ბედი ეწევა. ჩატარდეს რეფერენდუმი და ხალხმა გაარკვეოს, ევროკავშირში უნდათ თუ ევრაზიულ კავშირში. რეფერენდუმი, რომელიც ნატოსთან დაკავშირებით ჩატარდა, გაყალბებული იყო. მოსახლეობას როცა ეცოდინება იმ დადებითი მხარეების შესახებ, რაც ექნება ამ გაერთიანებას, ხელისუფლება მის სურვილებს წინ ვერ აღუდგება. მერე უფრო თამამად გადაიდგება წინ ნაბიჯები ან არ გადაიდგება. რეფერენდუმი ვერ გაიმართება, თუ ხალხს არ ექნება ინფორმაცია. ჩვენი მიზანია, ხალხი გავარკვიოთ, რას ნიშნავს ეს ევრაზიული კავშირი. ჩვენ ვმუშაობთ ენთუზიაზმით, არავინ გვაფინანსებს. რუსეთის მხრიდან უნდა იყოს აქტიურობა, სხვა შემთხვევაში ვერ ჩატარდება ფორუმები, ხალხში გასვლები და სტუდენტებთან შეხვედრები.

— ცალკეური ხაზურზანია დაბრუნდა და პოლიტიკაშია ჩართული, თემურ ხაჩიშვილი ჩამოვიდა. მათი გააქტიურება იმ მიზანს ემსახურება, რომ ქართველებმა მაქსიმალური ინფორმაციები მიიღონ?

— დიას, ამ ეტაპზე ასეა, როცა დაფინანსება გვექნება, უფრო ფართომასშტაბიან ღონისძიებებს გავმართავთ.

— რუსეთი დაგაფინანსებთ ამ ღონისძიებების გასამართავად?

— ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. შეიცვალა ვითარება, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოსახლეობა შიშის ქვეშ აღარ არის. ჩვენ დანაწილები გვაქვს მოქმედებით.

— დიას, მაგრამ „თავისუფალი ზონა“ ხელს გიშლით?

— კი ბატონო, ჩვენი აქცია კანონის დაცვით გავმართეთ. მერიაც გავაფრთხილეთ და შს-ც. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პოლიციას, იქ რაც ხდებოდა, აღკვეთეს ჩვენზე თავდასხმები.

— აზრის გამოთქმის უფლება „თავისუფალ ზონასაც“ ჰქონდა.

— ოღონდ ერთი გამოწვევისათვის. ჩვენ მათ არ შევხებივართ, მავთულხლართები შემოგვახვეს და ბანერები მოიტანეს. ეს მათი სირცხვილი და საკუთარი თავის შეურაცხყოფაა, ასევე იმათი, ვისი დაკვეთითაც ისინი მოქმედებდნენ.

— თქვენ ცოტა დრო გრჩებათ იმისათვის, რომ მოსახლეობა დაარწმუნოთ ევრაზიული კავშირის სიკეთეში, იმიტომ რომ, რამდენიმე თვეში, შესაძლოა, საქართველომ ევროკავშირის ასოცირებული წევრობა მიიღოს.

— დიას, ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ ჩვენი საქმე გავაკეთოთ. ოღონდ საქართველოს ხელისუფლებაც გვერდით უნდა დაგვიდგეს და რუსეთის მხარეც. იქნებ სჯობს ჩრდილოეთის ვექტორი სხვა ვექტორს. არ იყოს ერთვექტორიანი პოლიტიკა. ჩვენ ახლა მივექნებით ევროკავშირისკენ. ამან არაფერი კარგი არ მოგვიტანა.

ნიმო ბურჯანაძე: „პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს საპარსხი კვლევა“



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, „ენდია-ის“ მიერ დღეს გამოქვეყნებულ კვლევებს აფასებს და მას სამარცხვინოს უწოდებს.

„პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის სამარცხვინო კვლევა. მე ვთვლი, რომ „ენდია-ის“ საქართველოს ბიუროს უნდა ჰყოფნოდა იმდენი გონიერება, რომ მას შემდეგ რაც შარშან ამ დროს, არჩევნებამდე დადო კვლევა 40 % იანი ცდომილებით, როდესაც გვიმტკიცებდა რომ პირველ ადგილზე თითქმის „ნაციონალური მოძრაობა“ იყო 70%-ით, მეორეზე თარგობაზე 30%-ით და ბოლოს ივანიშვილი აღამის საერთოდ არ იყო ამ კვლევებში, — ამ სამარცხვინო კვლევების შემდეგ იგივე შეცდომა არ დაეშვა.“

ეს უკვე მეცდომა აღარ არის, ეს არის „ენდიას“ გამიზნული პოლიტიკა, რომ საზოგადოება წინასწარ შეაფუოს არჩევნების გაყალბებას. მათ ძალიან კარგად უნდა ესმოდათ, რომ არჩევნებს ვერ გააყალბებენ, რადგან მაშინ ტოტალურად უნდა გაყალბდეს არჩევნები, რომ მარგველში პირველ ადგილზე გავიდეს, ხოლო ბაქრაძე, — მეორეზე. ტოტალურ გაყალბებას კი საქართველოს მოსახლეობა არ დაუშვებს. მე მინდა გავაფრთხილო „ენდია-ის“ და საკუთარი ინსტიტუტები, რომლებიც ცდილობენ, რაღაც არ უნდა დაუფუდოთ, გააცოცხლონ მათი მონა „ნაციონალური მოძრაობა“ და ისევ მოასვენ ისინი ქართველ ხალხს თავზე, რომ ეს ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდება. ამას ქართველი ხალხი არ მოითმენს და დასავლეთის მიმართ განწყობები ქვეყანაში რადიკალურად ნეგატივისკენ შეიცვლება. მე ვაფრთხილებ ჩვენს დასავლელ მეგობრებს, ამას ნუ აკეთებენ“ — განაცხადა ბურჯანაძემ.

ნოსტრესი

გიორგი მარგველაშვილი: „შიდა მოქალაქის შედეგად, ჩვენს რეჟიმს სოფა უფრო მათს უნდა აქვთ“



ასე გამოეხატა ურა კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ენდია-ის კვლევას, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა.

„ყველა კვლევას ყურადღებით ვაკვირდებით. ყურადღებით ვაკვირდებით იმ დინამიკას, რომელიც სხვადასხვა კვლევებში პერიოდულად ჩანს. ენდია-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევა ერთ-ერთ მათგანია. ჩვენი შიდა მოკვლევის შედეგად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ცოტა განსაკუთრებული მონაცემები გვაქვს. ცოტა უფრო ჩვენი რეიტინგს მეტს გზავნის“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

პირველი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართა აფხაზეთის მოსახლეობისადმი აფხაზეთში დაბრუნებული ტარაბაიის 20 წლისათვის დაკავშირებით

1993 წლიდან ყოველი 27 სექტემბერი განსაკუთრებით მძიმე და ტკივილიანია სრულიად საქართველოსა და განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილი ჩვენი თანამემამულეებისათვის.

ჯვართამაღლების ბრწყინვალე დღესასწაული იძულებით გადაადგილებულთა საერთო სატკივრის — აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გარშემო მიმდინარე პროცესების გაანალიზებისა და ამ მიმართულებით სამთავრობო სტრუქტურების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის მიერ გადადგმული ნაბიჯების შეფასების მიზნით თარიღი გახდა. 20 წლის განმავლობაში აფხაზეთის პრობლემის გარშემო მიმდინარე ყოველდღიურ პროცესებისა და რუსეთის იმპერიის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ფონზე ძნელა ანუგეშო აფხაზეთის მკვიდრნი, განსაკუთრებით შვილდაბეჭდული ოჯახები. დრო ვერ აფერმკრთოდა სამშობლოს წინაშე ჩვენი საერთო გაღდებული ნაბიჯები, ვერ ამსუბუქებს თავისავე ქვეყანაში იძულებით ადგილმაცვალ ადამიანთა გაუსაძლის სულიერ და ფიზიკურ ყოფას.

მაგრამ მართო სინანულით საქმეს ვერ ვუშველით. დღეისათვის, რითაც შეიძლება ვიამაყოთ — ეს არის ჩვენი თანამემამულეების სამოქალაქო გმირობა, რომელიც გამოიხატა მათ ჭირთათმენაში, სულიერ და ფიზიკურ სიძლიერეში, ფსიქოლოგიურ წონასწორობასა და პოლიტიკურ კულტურაში. მიუხედავად გაუსაძლისი ყოფითი პირობებისა და სოციალური მდგომარეობისა, აფხაზეთის დევნილმა საზოგადოებამ აღზარდა ახალი განათლებული თაობა, რომელიც საკუთარ სიტყვას ამბობს ეკონომიკაში, მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, კულტურასა და სპორტში, სახელისუფლებო სტრუქტურებში წარმატებული მოღვაწეობით.

გვეამაყება, რომ დევნილმა საზოგადოებამ, თავისი მოკვალეებით მატერიალური შესაძლებლობების მიუხედავად, მისთვის ხელმისაწვდომი ინვესტიციები ჩადო შეიღების განათლებაში, მომავალი თაობის ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლებაში და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა მომავალზე, უკეთეს მერმისზე გათვლილი მაღალი ზნეობის ცხოვრების წესის მიმდევრობა.

სწორედ ეს გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომლითაც ჩვენი საზოგადოება 27 სექტემბერს მივაგმირათ და მუხლმოდრეკილი პატივს მიაგებს იმათ სსოვნას, ვინც ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლე მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე. ჩვენი მომავალი თაობები გაულწრფელი მადლიერებისა და უდიდესი პატივისცემის გრძნობით განადიდებენ მათ სახელებს, გააგრძელებენ ბრძოლას საკუთარი კარმიდამოს დასაბრუნებლად და ქვეყნის გასაბედინებლად.

უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფოს მიერ 20-წლიანი უნიათო პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს მოსახლეობაში აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მიმართ სრული უიმედობა და ნიჰილიზმი შეიმჩნევა, რაც მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებითაა განპირობებული. შედეგად, წლების მანძილზე ჩამოყალიბდა გაუცხოების პოლიტიკა სახელისუფლებო სტრუქტურებისა და დევნი-

ლი საზოგადოების ფართო მასების, მის ინტელექტუალურსა და პოლიტიკურ ძალებს შორის, რაც გამოწვეული იყო აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების, დევნილთა სოციალური საკითხების მოგვარების საქმეში მათი პოტენციალის გამოყენების აშკარა იგნორირებით. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობას დაუშვებლად მიაჩნია დევნილთა პრობლემატიკასთან დაკავშირებული პროცესების არსებული სახით განვითარება და მოუწოდებს დევნილთა პრობლემებით დაკავებული როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ ძალებს აქტიური თანამშრომლობისაკენ. გვჯერა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისა და დევნილთა სოციალური პრობლემების გადაჭრის საკითხებზე სახელმწიფო სატრიატეგის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესებში გათვალისწინებული იქნება აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი.

გამოვხატავთ მადლიერებას და მივესალმებით დაღუპული გმირების მიმართ მთავრობის მიერ ბოლო დროს გადადგმულ ნაბიჯს, რომელიც მატერიალურ შემადგენელ უფრო ზნეობრივი, სამართლიანობისა და ჰუმანური დატვირთვის მატარებელია. იმედია, რომ ასეთივე ყურადღება მიექცევა საომარი მოქმედებების დროს ათასობით ომის იწვალდის, რომელთაც პირნათლად მოიხადეს თავისი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე. ეს ომის ქარიშხალგამოვლილი ვეტერანები, დაღუპულ გმირებთან ერთად, სწორედ ის ხალხია, ვინც მომავალი თაობების პატრიოტული აღზრდისათვის ხელშეახები და მისაბადი მაგალითია.

მოვუწოდებთ დევნილ თანამემამულეებს, მიუხედავად მათი უმძიმესი სოციალური, ყოფითი, ურთულესი მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისა, ბოლომდე შეინარჩუნონ სიმშვიდე და მოთმინება და გამოიჩინონ მათთვის ჩვეული მაღალი ზნეობა და პოლიტიკური კულტურა, რათა ერთობლივი ძალისხმევით შევქოთ ყველა საჭირობოროტო პრობლემის, ჩვენი უფლებების ცივილიზებული, სამართლებრივი გზებით მოგვარება და დაცვა.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგება, აფხაზი და ქართველი ხალხი კვლავ ერთად იცხოვრებს მშვიდობისა და ურთიერთგაგების გარემოცვაში. დადგება ჟამი შეცდომების აღიარებისა, ურთიერთმიტევებისა და მონანიებისა, ჩვენი საერთო მტრის მხილებისა და დაგმობისა.

ჩვენი სანუკვარი მიზანი ერთია: გავერთიანდეთ აფხაზეთის დაბრუნებისა და აფხაზეთში დაბრუნებისათვის გაერთიანებული და გაბრწყინებული საქართველოსათვის.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო



პაპალაზ ჭიკაშვილი: „ივანიშვილი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს პერ დაპყრობას“



შორენა გონგლაძე

ინტერვიუ პოლიტიკოს პაპალაზ ჭიკაშვილთან

— პატრონობა მელეტ, პრემიერის და პოლიტიკოსთა შეხვედრა როგორ მოგეწონათ, პოლიტიკოსების განცხადებას საკმაოდ უცნაური ნოვაციები ქართულ პოლიტიკაში, მგონი, ამჯერად საზოგადოების უმთავრესი საზრუნავია, რომ ტრადიციულად არ იქნეს ეს ყველაფერი..

— როგორც პრემიერ-მინისტრი ამბობს, ის აპირებს პოლიტიკიდან წასვლას და გადადის საზოგადოებრივ სექტორში, რა არის ეს საზოგადოება ჩემთვის, ეს გაურკვეველია, მაგრამ როგორც ჩანს, ეს მისთვის გარკვეულია. ის ამბობს იმასაც, რომ მისი გაცვლითი ხელისუფლებაზე აღარ იქნება, მან ასეთი ფრაზა თქვა, მე ასეთ რამეს როგორ ვიკადრებო. თუ ის ასეთ რამეს გეგმავენ, სრულიად მიუღებელი იყო ასეთ ფორმატში ექსპერტებთან შეხვედრა. ამ შეხვედრამ კიდევ უფრო დამარწმუნა იმაში, რომ როდესაც ივანიშვილი ამბობს, რომ მივდივარ, ასეთი მენტალიტეტის და ასეთი შეხვედრის მომწყობი კაცი ნამდვილად უნდა წავიდეს. აშკარად გამოიკვეთა მისი პოზიცია, რომ ბიძინა ივანიშვილი ვერ იტანს ვერავითარ კრიტიკას. ის ისეთივე თვით დაჯერებული იათვის ქმედებებში, როგორც იყო და არის სააკაშვილი. გარდა ამისა, მე არ მესმის, რას ემსახურებოდა ეს შეხვედრა. ივანიშვილს ჩანს მშუღი ქვეყნის ექსპერტების ყველა კრიტიკული გამოხატულება, ამ შეხვედრას, რომელსაც მე ვარქმევ პოლიტიკოსების წინააღმდეგ გაჩაღებულ ომს, ის შეხვდა სრული მომზადებით. ექსპერტები მივიდნენ იმისთვის, რომ მათ შორის გამართულიყო დიალოგი, რომელიც გარკვეულ შედეგს მოიტანდა. ცხადია დადებითია ის ფაქტი, რომ მსგავსი შეხვედრები ეწყობა, რაც სააკაშვილის დროს არ ხდებოდა, მაგრამ არის კი ეს საჭირო მაშინ, როდესაც შენ გაქვს გამზადებული ფორმული იმისათვის, რომ დაჯახი მოქმედების მიზნად და მოუწოდებ მას, ისე იაზროვნოს, როგორც შენ აზროვნებ, ეს უკვე აღარ ნიშნავს დემოკრატიულ და განვითარებადობას.



თარებულ საზოგადოებას, ეს ნიშნავს იმ სიტყვის დიქტატურას, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დროს, ანუ მითითებებით წერა და აზროვნება. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილმა იმ შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა ერთი რამე, რომ არ შეიძლება მის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდეს ექსპერტის მოსაზრება. ბიძინა ივანიშვილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ მან ბევრი რამ გააკეთა, არადა, ეს საქმეები არ ჩანს, რაც ექსპერტებმა აღნიშნეს. როგორც ჩანს, ბიძინას არ უნდა ამ პოლიტიკიდან ისე წასვლა, რომ ვინმემ მასზე აუღი თქვას. არადა, იმდენად მომართა მან საზოგადოება აუგის სათქმელად, რომ სააკაშვილი და ნაცები უდავოდ სისარულით შეხვდებიან ამ მოვლენას. ასევე არ შეიძლება არც ბიძინას და არც სხვა ვინმეს ამსიგრძე მონოლოგები მოვისმინოთ, არ შეიძლება გამომდებელი ჭიკაშინი და ვილადაზე პირში შევარდნა რაც არ უნდა მართალი იყოს, რადგანაც შეიძლება ხშირად დაუკრეფავში გადახვიდე, რაც ხშირად ემართება პატივცემულ ბიძინას.

— ექსპერტების პოზიციები საქმეში როგორ იქნება, არგუმენტირებული პასუხები ფაქტობრივად ვერ მოვისმინებ.

— ასე მოულოდნელად რომ ადამიანს თავზე დააცხრები, ცოტა რთულია. ცხადია, ექსპერტებიც ფიქრობენ ბევრ რამეზე. ბიძინას შეტევით საკონტენტში ჩავარდნილმა ექსპერტებმა, რაც უთხრეს მას, ესეც დიდი რამე იყო. სხვათა შორის, კახიშვილმა პირდაპირ თქვა ის, რაც პროკურატურაში ხდება, საყვარელიძე და კიდევ სხვებმა, მაგრამ ერთი რამ არის, ამ პიროვნებასთან არ შეიძლება ასეთი დიალოგის გამართვა, რადგანაც, ის არ იღებს დიალოგს, ის იღებს მხოლოდ მონოლოგს, ეს დიდი ხანია გამოჩნდა თუნდაც ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს. ეს არ არის ის პიროვნება, რომელთანაც შეიძლება ლაპარაკი, ეს არ იღებს არავითარ შენიშვნას, მას ყველას შენიშვნაზე აქვს თავისი გამამართლებელი პასუხი, რომელიც არ არის აშკარად გამამართლებელი, მაგრამ სჯერა, რომ ის არის მართალი. კაცს რომ წინასწარ სჯერა, რომ ექსპერტის მიერ დასმული კითხვა არის მცდარი, ხოლო მისი პასუხი არის სწორი, ძნელია იმ კაცთან საუბარი.

— ფაქტია, რომ კოალიციის რეიტინგი იკლებს, თუმცა ამ ფონზე ივანიშვილი დაბეჯითებით, რომ მისი ფაქტობრივი კანდიდატი არჩევენებს მოიგებს, ამავდროს გამოიკვეთა საკმაოდ რეიტინგული ფიგურა — ნინო ბურჯანაძე, ვინ გაუწევს კოალიციის კანდიდატს ძირითადად კონკურენციას?

— ვახტანგ გოგუაძეს უყვარდა ასეთი გამოთქმა, რომ ქართველი კაცი იმაზე მეტ ფულს რომ იშოვოს, კიდრე ჭკუა აქვსო, ცუდადაა მისი და ჩვენი საქმეცო, დაახლოებით ასეთი რამ ხდება. ფულმა ბიძინას შესძინა დამაჯერებლობა და ის ფიქრობს, რომ მისი ყველა ნაბიჯი არის გამართლებული და ამ ყველაფერს ჩვენ გავხვევს თავზე. ბიძინა ივანიშვილმა გარკვევით თქვა, რომ ყველა მინისტრი არის კარგი, ამ დროს საზოგადოებაში არის აზრი, რომ ყველა მინისტრი არის ცუდი. რაც შეეხება მარგველაშვილს, ის დაბეჯითებით ამბობს, რომ ის არის ძალიან კარგი, რომ ჩვენ არ ვიცით, ის რა კაცი. ყოველ შემთხვევაში, ამ დრომდე, მარგველაშვილმა ამ დახასიათების პატარა ნაწილიც კი არ შეასრულა. წინააღმდეგობა კამპანიის დროსაც ვერ აჩვენებს თავს საზოგადოებას ისეთად, როგორც ბიძინა ახასიათებს. გამოდის, რომ ბიძინას სიტყვა და საქმე ძალიან შორსაა ერთმანეთისგან. შეხვედრაზე საჯარო შეცადა ივანიშვილი, მარგველაშვილზე კარგი თქვათ ექსპერტებს, მარტო ლაპარაკი იქნება თქვა სანაიალდეგო. გუშინ სამუშაო საათები იყო, როდესაც ბიძინამ დაიწყო მარგველაშვილის ქებათაქება. რამდენად დაშვებულია ის, რომ პრემიერ-მინისტრმა ყველა არხზე ასეთი რეკლამა გაუწიოს საკუთარ კანდიდატს, ეს არის მიუღებელი. ეს არ არის დემოკრატია, ეს არაფერი არ არის, ეს არის საზოგადოების დაცინვა, „ვირის პიტნა ეზარებოდა და ცხვირში ტენიდნენო“, ამ საზოგადოებამ არ იცის, ვინაა ეს მარგველაშვილი, რაც მინისტრობის

დროს გაიცნო, მისი მხოლოდ უარყოფითი იცის, დადებითი არა. მე მიმაჩნია, რომ როდესაც ასეთი დაბეჯითებული რეკლამა ისმის პრემიერ-მინისტრისაგან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს გააკეთებენ როგორც ნაციონალები, ისე ოცნებელები, რომ პირველ ადგილზე გავიდეს მარგველაშვილი და მეორე ადგილზე გავიდეს ბაქრაძე. ეს გადაწყვეტილია, ბიძინა ივანიშვილმა გუშინ გადაწყვეტილად თქვა, რომ ის არის საპარლამენტო არჩევნების წინააღმდეგ. მაგრამ თუ ბურჯანაძე გახდება პრეზიდენტი და მას აქვს ამის შანსი ისე, როგორც არასდროს, აუცილებლად დაინიშნება საპარლამენტო არჩევნები. პარლამენტში დღეს არსებული ორი მემბრატები უფრო პარტია ამ ქვეყნის კეთილდღეობისათვის აშკარად არ არის საკმარისი. ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში ნაციონალები საერთოდ ვერ მოხვდებიან პარლამენტში და ვერც ოცნება მოხვდება ამ რაოდენობით. ასე რომ, რატომ გაიფუჭებენ უზრუნველ ცხოვრებას, რომელიც როგორც იქნა, მიიღეს რესპუბლიკელებმა და სხვებმა.

— ამ ფონზე ბურჯანაძეს რა შანსები აქვს?

— ბურჯანაძეს დიდი შანსი აქვს, რომ პრეზიდენტი გახდეს, მაგრამ ამისათვის მან გადაჭრით უნდა თქვას მისი საგარეო პოლიტიკის თაობაზე. თუ ბურჯანაძე ისე აღიქვამს ამერიკას, როგორც ნაციონალები და ოცნება, მაშინ დალუ-

პულია საქმე, თუ ბურჯანაძე არ შეცვლის მის პოლიტიკურ ვექტორს, ის ცხადია, ვერ მიიღებს იმ ქულებს, რაც საჭიროა მისი გამარჯვებისათვის, ხალხს იმისათვის უნდა ბურჯანაძის გამარჯვება, რომ მან უნდა შემოაბრუნოს ვექტორი დასავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ვინაიდან ეს ხალხი დასავლეთიდან სიკეთეს ვეღარ ხედავს და ისეც შეჩვეული ჭირი ურჩევნია. მაგრამ ბურჯანაძე ამის თაობაზე არაფერს ამბობს გარკვეულად, რასაც ის ამბობს, საზოგადოებისთვის ის არის აბაღუდა და გაურკვეველი.

— რაც ხდება საოკუპაციო ზოლთან დაკავშირებით, ამაზე რას იტყვით? ფაქტია, რომ ხელისუფლების პოზიცია ძალზე უსუსური და არაფრისმადისია, ეს უკვე აშკარაა და შედეგად სახეზე გვაქვს, რით შეიძლება ეს პროცესი შეჩერდეს?

— როდესაც ივანიშვილი მოდიოდა, მან შეიძლება ახლა იუაროს, მაგრამ გარკვევით იყო ნათქვამი, რომ მან იცის, როგორ მოარგოს გასაღები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას საქართველოს რეალიზებაში. აქ არ იყო ლაპარაკი ომის დაწყებაზე, საუბარი იყო იმაზე, რომ საქართველო ისე უნდა დაედგეს ეკონომიკურად ფეხზე, რომ აფხაზეთი და ოსეთი ამ ყველაფერს დახარბდნენ. საქართველოს ამ შემადგენლობით და ამ კადრებით არ უნერია, ისეთი წარმატები გახდეს, რომ არიქა, ოსები და აფხაზები ჩვენკენ გამოექანოს. ასე რომ, ეს ყველაფერი არის ბლეტი.

განხილვები

- გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმალეში ზრდა 5-25 სმ-მდე მცენარეული პრეპარატებით, უკუწვევების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ფონის), ექ. ქ-ნი სალომე.
- ფოტოსურათით მოგებისნით: ალკოჰოლისა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ექვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაქვითილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნალევს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც: გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი: გარანტირებული, გინვეთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იდიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბრონაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასო.
- ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული მენის-ნეკროზის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, ნივთიერების, რადიკულიტის, ქრონიკული და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება ნამულების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუხილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311 — ქ-ნი მარიამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგარეულო ნამულებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სეზორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქსოვებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, პილარიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგარეულო ნამულებით გაგენიშნებთ ორგანიზმში, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამაზა თოდუა.
- ძვალ-სახსართო პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახრებზე ძვლის მკვებადებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიმშილის, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტი დიდ ფარულადაც!), შედეგი 100%-იანი. ადგილზე გამოკვლევები უფასო. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქუთაისი.
- გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უუნებლად, მაღის დარეგულირებით, შედეგის 100%-იანი მუდმივად შე-

- ნარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასო. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტერინისაგან, წნეგების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან დაავადებებსა), შარდვის მოშორება-გახსნების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქვილის, უშვილობის, ენერგიის (გენერაციური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასო. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.
- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლადის 67-ში შეგიძლიათ ბაშის, მატყლის გაჩენა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკურნალი. განახლებული ლაგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კონსულტაციის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიოვი ჩიკილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახსნის, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქვილი ენერგიის ბავშვებში და მოზარდებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიმშილის, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქტით, შედეგები 100%-იანი. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის განმენდა, იმპოტენციის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართო პრობლემების მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართროზები, კოქსართროზი, დიზბაქტერიოზი, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

გ ა ნ ხ ი ლ ე ბ ა

2013 წლის 21 ნოემბერს 12 საათზე, შ.პ.ს. შპს „GEOEKO OTTA“-ს ადმინისტრაციულ შენობაში (მის: მარნეულის რ-ნი, ჯანდარის დასახლების მიმდებარე ტერიტორია), გაიმართება სახელმწიფო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ნახშირი ზეთების რეგენერაცია. საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- მარნეულის რ-ნი, ჯანდარის დასახლების მიმდებარე ტერიტორია (კომპანიის ოფისში)
- გორი, ბარნოვის ქ. 9ა ტელ: 599708055

დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.moe.gov.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შ.პ.ს. „GEOEKO OTTA“-ს ადმინისტრაცია

ფოთისა და სოხის მიტროპოლიტ გრიგოლის ქუჩისათვის 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს სოხის მონასტრის უკვე აღნიშნული ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომეგობრებისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

საგანაო რეკონსტრუქციები:

ფოთისა და სოხის ეპარქია, ს/ნ 215 090 425

სოხი, სოფ. ნოვოსიბო

ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.

ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ სოხის ფილიალი

ბ/კ: LBRTE22

ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — სოხის მონასტერი.

სოხის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმიანა ანა (მუსელიანი)



დაეასკოში გამოყენებული ქიმიური ნივთიერება „ზარინი“ კუსტარული მათოდაბით იყო დაზარალებული

რუსი ექსპერტების აზრით, აგვისტოში სირიის დედაქალაქ დამასკოსა და მანამდე, რამდენიმე თვით ადრე, ალექსანდრე გამოყენებული ქიმიური ნივთიერება „ზარინი“ კუსტარული მათოდაბით იყო დაზარალებული. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა „ვაშინგტონ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.



„ჩვენ გვაქვს იმის მტკიცებულება, რომ 21 აგვისტოს დამასკოში გამოყენებული „ზარინი“ კუსტარულად დამზადებული იყო ისევე, როგორც 19 მარტს ალექსანდრე გამოყენებული ეს ნივთიერება“, — განაცხადა ლავროვმა.

ამერიკული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ლავროვმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ სირიაში ქიმიური იარაღი ამბოხებულებმა გამოიყენეს და არა — ქვეყნის ხელისუფლებამ.

ქალაქებში ალექსანდრე და ჰომსში ქიმიური იარაღის გამოყენების დასადაგენად ოთხშაბათს სირიაში გაეროს ექსპერტების ჯგუფი ჩავიდა. ადრე ამ ჯგუფმა 21 აგვისტოს დამასკოსთან ახლოს ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევა შეისწავლა. ჯგუფის დასკვნის მიხედვით დადასტურდა, რომ ალექსანდრე ახლოს მართლაც იქნა ქიმიური იარაღი გამოყენებული.



მსოფლიო კრიზისმა გარკვეულწილად უსიქიპარი და ფიზიკური ჯანმრთელობა შეაჩერა

ლინჩოპინგისა და ათენის უნივერსიტეტები ამტკიცებენ, რომ ბერძენი ახალგაზრდები სტრესიგან და ფიზიოლოგიური ავადმყოფობებისგან იტანჯებიან. ასევე, ისინი შვედი სტუდენტებისგან განსხვავებით, ფინანსური პრობლემების გამო, მომავალს ნაკლებად ოპტიმისტურად უყურებენ. ანუ, ფინანსურმა კრიზისმა ადამიანების ფიზიკურ მდგომარეობაზე ერთმნიშვნელოვნად იმოქმედა.

ცნობილია: ქრონიკული სტრესი პროვოცირებას უკეთებს დეპრესიას, სამუშაოზე „გადაწვას“. მოკლევადიან სტრესს ორგანიზმი შესანიშნავად უმკლავდება, როდესაც სისხლში კორტიზოლს გამოყოფს. მაგრამ ხანგრძლივი სტრესისას, სხეული ვეღარ უმკლავდება და კორტიზოლის დონე ნელ-ნელა მცირდება. თუკი სტრესული ფაქტორები შენარჩუნებულია, იმუნიტეტის დასუსტება ხდება.

ასე რომ, სტატისტიკამ აჩვენა: ბერძნების 42% სერიოზულ უსიამოვნებებს აწყდებოდა. ასეთივე პრობლემები, შვედების 23%-ს ჰქონდა. გამოკითხული ბერძნების 47% სტრესზე მიუთითებდა, ხოლო შვედებს შორის სტრესზე მომჩივანთა რაოდენობა 21%-ს უტოლდებოდა. ბერძნების 24% ნათელ მომავალს ვერ ხედავდა. ეს შეხედულება, შვედების მხოლოდ 5-მა პროცენტმა გაიზიარა. ამასთან, ბერძნებში ჯანმრთელობის პრობლემები გაცილებით ხშირად ფიქსირდებოდა.

სამგლოვნიარო განცხადებები

ლემონჯავების საგვარეულო უსამძიმრებს ბატონ პარმენ ლემონჯავასა და მის ოჯახს ღრმა მწუხარებას დის

ნატა ლემონჯავა-მიქიას

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მთავრობა ღრმა მწუხარებით იუსყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი და სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, სახელოვანი მამულიშვილი

გოგი მისხილის კა სხოპარია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი: 27 სექტემბერს, 16 საათზე. დაკრძალვა: 28 სექტემბერს, 14 საათზე. მისამართი: ლანჩხუთის რაიონი, სოფელი სუფსა.

შვილი ნიკოლა ჩიქოვანი, რძლები ნატა მანჯავიძე, ირა ჭითანავა, ნელი ჩიქოვანა, შვილიშვილები ნინო, მარიამი, გიორგი, ქეთევანი, ანა, ნელი, დისშვილები გოგი, თამილა ჩიქოვანები ოჯახებით, ძმისშვილები ნიკოლა, ნინო ჩიქოვანები ოჯახებით, მძახლები ამირან მანჯავიძე, ნინო ვადაჭკორია იუსყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (გოგი) ნიკოლოზის კა რიქოვანი

პანაშვიდი: 27, 28 სექტემბერს, 17 საათზე, ოქროყანის ბოლო აღმართი 2.

გამოსვენება: 29 სექტემბერს, 15 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.



მეუღლე იზოლდა გოლუბიანი, შვილი სოფიო ხოშტარია, ძმები რუბენ და თენგიზ ხოშტარიები, და ნაზი ხოშტარია, სიძე პლატონ მანჯავიძე, შვილიშვილები ელენე, ილია და გიორგი მანჯავიძეები იუსყებიან, რომ გარდაიცვალა

სარიტონ ივანეს კა ხოშტარია

პანაშვიდი: 27 სექტემბერს, 17 საათზე. დაკრძალვა: შაბათს, 28 სექტემბერს, 14 საათზე. მისამართი: თბილისი, გლდანის II მკირო-რაიონი, კორპუსი 24ბ, ბინა 2.

სამგლოვნიარო განცხადება მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა. 12-დან 17 საათამდე.

ონიშანკოს დანაშაული მოლდავური ღვინო ევროკავშირმა მიიღო

ევროპის კომისიარი სოფლის მეურნეობაში — დაჩიან ჩოლოში აცხადებს, რომ ევროპის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მოლდავური ალკოჰოლური პროდუქტისთვის ევროკავშირის ბაზრის ლიბერალიზაციის შესახებ.

„ეს ნიშნავს, რომ მოლდავური ღვინოსთვის ევროპის ბაზარზე არ იქნება შეზღუდვა არც ექსპორტის მოცულობის და არც სატარიფო პოლიტიკის მხრივ. რაც შეეხება ხარისხს, არსებობს სტანდარტები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა ღვინო. მოლდავური ღვინო კი შეესაბამება ამ მოთხოვნებს“, — ამბობს ევროკომისიარი.

„გადაწყვეტილება მოლდავური ღვინოსათვის ევროპის ბაზრის ლიბერალიზაციის შესახებ მიღებულია წინსვრებით — მოლდავეთსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერამდე. ის ძალაში შევა რამდენიმე თვეში, თუმცა მოლდავური ღვინო ახლაც შეუზღუდავად შევა ევროპის ბაზარზე. ეს ხარისხიანი ღვინოებია, რომლებიც სულ უფრო პოპულარული ხდება. ჩემი აზრით, სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს გადაწყვეტილება საშუალებას იძლევა ინვესტირებისთვის მოლდავეთის ღვინოთმარებელმა ევროპის ბაზრის პერსპექტივის გათვალისწინებით“, — განაცხადა ჩოლოშმა.

როგორც ცნობილია, რუსეთის მთავარმა საინტარმა გენადი ონიშენკომ, უსაფრთხოების მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის გამო, მოლდავური ღვინოს რუსეთში მიწოდების შეწყვეტის შესახებ 11 სექტემბერს გამოაცხადა.

მოლდავეთის პრეზიდენტმა — ნიკოლაე ტიმოფტიმ რუსეთის ქმედებას „არამეგობრული, არაძმური და არაქრისტიანული“ უწოდა. მისი აზრით, რუსეთი ახდენს ზეწოლას მოლდავეთზე, რათა აიძულოს უარი თქვას ევროპაში ინტეგრაციაზე.

ევროპაში მოლდავეთს თავისი ღვინოთმარებლის პროდუქტის 10% შეაქვს, ხოლო რუსეთში — 30%-ზე მეტი, 22% — ბელორუსში, ხოლო 10% — ყაზახეთში.

მოსკოვმა შესაძლო იაპონელ პოლიტიკოსებს კუნძულების უიზო მონახულება აუკრძალა

მოსკოვმა შესაძლო იაპონელ პოლიტიკოსებს კურილიის კუნძულების უიზო მონახულება აუკრძალა. განცხადება ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაკეთდა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

„კუნძულების უიზო მონახულება აკრძალვით შემოიღეს, რადგან იაპონელი პოლიტიკოსები არ შეწყვეტენ საჯარო საუბარს იმის შესახებ, რომ ეს კუნძულები მათია“, — აცხადებენ რუსეთის საგარეო უწყებაში და აღნიშნავენ რომ ახლახანს, ტოკიოში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ორმა იაპონელმა მინისტრმა განაცხადა, რომ „მათი კვლავ გაფართოება ისეა იმის შესახებ, რომ ეს კუნძულები აუცილებლად დასაბრუნებელია“.

„თუ რაღაც მიზეზთა გამო, იაპონელ პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ თავის შეკავება საჯარო განცხადებებისგან „კუნძულის თემატიკაზე“, უფრო



ლებას ვიტყვით შევუზღუდოთ მათ უფლება ამ ტერიტორიების მონახულებისა“, — განაცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

კურილის კუნძულები ვულკანური არქიპელაგია წყნარ ოკეანისა და ოხოტის ზღვის საზღვარზე, კუნძულ პოკაიდოს ჩრდილოეთით, გადაჭიმულია 1300 კმ-ზე. ადმინისტრაციულად შედის რუსეთის სახალისის ოლქში. არქიპელაგში 56 დიდი და სხვა უამრავი პატარა კუნძულია. მათი საერთო ფართობი დაახლოებით 15600 კმ²-ია, მოსახლეობა 19000 ადამიანი (2010).

კუნძულები მთლიანად რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ იმყოფება, მაგრამ მის სამხრეთით მდებარე ორ დიდ კუნძულს, ისევე როგორც პატარა კუნძულებს — სიკოტანსა და პაპომაის, მოითხოვს იაპონია. ეს დავა კურილის კუნძულების კონფლიქტითაა ცნობილი.

მაიამზადა გერა მაშულაშვილი

აქვითი თაყაიშვილის საიუბილეო დღეა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

გულაძემ, დავით შემოქმედელმა, ერეკლე საღიანმა, ემირ ბურჯანაძემ, ცეზარ ლაშხმა და ექვთიმეს დის შვილთაშვილმა გიორგი გოთუამ. საღამო მუსიკალურად გააფორმეს თეიმურაზ კაკულიამ, ირმა სოსხაძემ, მანონი ყუბანეიშვილმა, თემურ გუგუშვილმა, ელდარო საღარაძემ, ბორის ბედიამ, ნინო ნემსაძე-მურჯიშვილმა, გვანცა ლუტიძემ, ლელა თათარაძემ, ანსამბლებმა „რუსთავი“, „ერისიონი“, „კესანე“.

საიუბილეო სხდომის დასასრულს სცენაზე გამოფენილი ტრანსფორმაციები, ექვთიმეს სურათი, ნიგნები და ღვინო „ექვთიმე 150“, რომელიც სპეციალურად ამ იუბილესთვის ჩამოსხა, საჩუქრად გადაეცა ექვთიმე თაყაიშვილის ფონდს.

ექვთიმე თაყაიშვილის იუბილესადმი ღონისძიებები ამით არ დასრულდება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ეროვნულმა კინოცენტრმა კონკურსი გამოაცხადა 2013 წელს „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის შექმნასთან დაკავშირებით. კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ეროვნული ფილმის წარმოების დაფინანსება. კონკურსში მონაწილეობა შეეძლო საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. საექსპერტო კომისიაში პროექტის განაცხადი წარდგენილი უნდა ყოფილიყო პროდიუსერის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი როგორც ფი-

ზიკური, ასევე იურიდიული პირი. აღნიშნული პირობის დაკმაყოფილება განისაზღვრება როგორც პროდიუსერის საგანგებოდ ვალდებულება. კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი არის სახელმწიფო დაკვეთა და კინოცენტრის მიერ დაფინანსდება სრულად ფილმის ბიუჯეტის 100%-ით. საკონკურსო ფონდი შეადგენს 100.000 ლარს. ეროვნული კინოცენტრი კომისიის რეკომენდაციით დაფინანსებს ერთ პროექტს. „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის ხანგრძლივობა უნდა იყოს 60-90 წუთამდე. კონკურსი ჩატარდა ორ ტურად. პირველ ტურში საექსპერტო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსზე შემოტანილ პროექტებს და შეაფასეს დადგენილი ქულების სისტემის საფუძველზე. კომისიამ განსაზღვრა იმ მინიმალურ ქულათა ოდენობა, რომელიც უნდა მიიღოს პროექტმა მეორე ტურში გადასასვლელად. მეორე ტურში გადავიდნენ მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულა აღემატება კომისიის მიერ დადგენილ მინიმალურ ბიჯს. პროექტები, რომლებიც არ გადავიდნენ მეორე ტურში კონკურსის გამოვითქნენ. მეორე ტურში იგულისხმებოდა პროექტის პრეზენტაცია კომისიის წევრების წინაშე. მეორე ტურის შედეგად კომისიის წევრებმა შეაფასეს პროექტის პრეზენტაცია და დაწერეს შესაბამისი ქულა. კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო ცალკეული პროექტის ქულათა საერთო ჯამის საფუძველზე და წარუდგინა კინოცენტრს რეკომენდებული გამარჯვებული პროექტ(ებ)ის შესახებ.

08.00 დ/ფ " ანტიკური მსოფ-

ლო" 09.00" 10.00" 12.00" 16.00" 19.00" 20.00 "მოამბე" 09.10 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 10.15 დან. სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.35 მხ.ფ "კაზინი" (გ.მარე) 14.30 დ/ფ "ფოტო" 15.00 ტ.სერ. "ჭორობანა" 17.00 ტ.სერ. "ზაპარს მიღვა" 18.00 დ/ფ "ალექსანდრეს უდიდესი ბრძოლა" 19.05 ტ.სერ. "გაულის მუსიკა" 21.00 დ/ფ "საკუთარი თვალთ" (რეჟ: გ.ტყეშელაშვილი) 21.30 ტ.სერ. "ზაპარს მიღვა" 22.30 "ნათელი ზონა" 23.30 მხ.ფ "პრინც ბრაჰმანის" 01.30 მხ.ფ "კინორეჟისა საღილა"

08.00, 10.00, 12.00, 15.00,

17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ტ.შუთა. გ/ჩ) 14.00, 16.00 ტ/სერ. "დამამბ-ბიმი" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (მ/ე)

07.30 იმედის დილა (მ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა 08.05" 09.10 იმედის დილა (მ/ე) (გაგ.) 10.05 სერ. "სიყვარული კინემატოგრაფიით" 11.25" 12.05 სერ. "მინი გული" 12.30" 13.03 დღის შოუ (მ/ე) (გაგ.) 14.40 იმედის გმირები (22.09.13 გ/ჩ) 15.15 რომ გადავალ (გაგ.) 16.05 სერ. "დამარცხება" 17.50" 19.03 სერ. "უღანაშა-ული" 20.50 სერ. "სილა" 10 სერ. 21.50 თოქ შოუ ღია ფერის (მ/ე) 00.00 სერ. "კამიკაძე ქალაქი" მე 4 სერ. 01.10 მხ/ფ "მარტინალა გუ-ლაში" (ჯ. ლუტო)

07.30 დილაშვილობის სა-

ქართველი 10.00 სერ. "პრემიუმის კალა" 11.00 სერ. "პრემიუმის პირი-პირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ვიკი ვიკი (კვ. გ/ჩ) 17.00 სერ. "ნაფიზილი ბრძოლა" 18.50, 19.50 სერ. "მი-პარის დრო" 20.50 ეროვნული ლა-ტარეა 22.00 პოპიკა 23.00 ვაზოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დილაშვილი

06.00, 11.55, 14.55, 17.55,

20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 საგა-ლობელი 06.20 დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" 06.50 მხ/ფ "ლოცვა" 08.00 დღის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 განათიადი 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერსიაში 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღე-ური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "და-კარგული მონასტრები" 11.05 დოკ/ფ "ლოცვები სამშობლოსათვის" 11.20 ისტორიის გავრცელება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "პაპილაშვილი" 13.15 დოკ/ფ "საქართველო ჩვენი სამშობლო" 13.35 ეპოქის სახელები - თეოლო შარტავა 14.00 "ჩვენი ფონდი" თეიმურაზ გვან-ცელაძე ქართულ ფხაზურში ურთიერ-თობები 14.20 ფოტოგალერეა 14.25 დოკ/ფ "კაპელანი" 14.50 მართლმ-ადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთი-ადის სტუმარი 15.30 კონცერტი -ანს. "მანგაზადა" 16.25 დოკ/ფ "ისტორია ეპილოგის გარეშე" - ნიკო ნიკოლაძე 17.00 კვირავი 18.10 "ჩვენი ფონდი" ელენე კაველიშვილი აფხაზეთის სინ-მინდები 18.25 დოკ/ფ "ზევის სიმაღ-ლეს ეპიარა" მამა ანდრია 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 "მელი ცხოველი" 19.20 განთიადის სიუჟეტი "გზა გმირებისკენ" ჟოული შარტავა 19.30 მხ/ფ "მეშველნი" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადა-გება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მარ-თლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "საუფლონი" - ჯვრთამაძე 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ "მამულში"

გაუსტრო 7.00, 0.45, 2.30,

5.00 ახალი ამბები (კოლხეთი) 7.40 მულტფილმი 7.55, 8.10, 9.15 მაღვი-ძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 სპორტული "ლაგუნის მიღვა" 12.50 თოქ-შოუ "არგუმენტები" 14.30 გადაცემა "პულის" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 4.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 18.05, 1.30, 5.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.00 სპორტული "ასი" 21.45 სპორტული "დიდებული საუბარი" 23.00, 3.15 თოქ შოუ "პოლიტეტიკა" (გამ.) 6.45 ფარული კამერა

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

